საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი 24 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ქალაქებში 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ... რედაქცია და კანტორის მისამართი: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 191 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 191

გრილი კინემო „მინიონი“

ეს ეს არის მივიღეთ საზღვარ-გარეთიდან ახალი და თავის სილამაზით განსაკუთრებული სურათი

ერთგული თავისუფლებისათვის მებრძოლნი

მხატვრული ისტორიული დრამა 4 მოქმედებად, რომელიც ნათლად ახასიათებს 1853 წლის იტალიელთა თავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლას იმპერიულ ავსტრიის წინააღმდეგ, რომელნიც იხრჩობოდნენ ჟანდარმერიისა და პოლიციის ბრჭყალებში. სურათში გამოყვანილნი არიან საუკეთესო მებრძოლნი, რომელთაც ხალხში დაიმსახურეს სამღვრთო ხსოვნა და, რომელთა სახელებიც შეტანილია ისტორიის ფურცლებში და, რომელნიც ეხლაც ნათელ მაგალითებად არიან დარჩენილნი.

ყველამ უნდა ნახოს—როგორ იტანჯებოდნენ და კვდებოდნენ თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარული ადამიანები.

დასასრულ: ლამაზი საპეიზაჟო სურათი პიავის ნაპირებზე. (2739 1—1)

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულდათუთქული მეუღლე მინადორა ასლანის ასული ავალიანისა, შვილი ინჟინერი ვლადიმერ ლუკას ძე ავალიანი, ქალიშვილი ნადეჟდა კაშიძისა, ძმა არკადი მოსეს ძე ავალიანი, რძალი ანეტა გლახუნის ასული ავალიანისა და სიძე ვასილ კაშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფ. საჩინოში მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ასლან (ლუკა) მოსეს ძე ავალიანისას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2738 1—1)

სახელმწიფო თეატრი ბალეტის სკოლა იღებენ მოწაფეებს ვაჟებსა და ქალებს

9-დან 16 წლამდე. ჩაწერა შეიძლება თეატრის კანტორაში კანტორაში დილის 11—2 საათამდე. გამოცდა 14 სექტემბერს.

(6. 1—1) სკოლის დირექტორი მ. ი. პერინი.

ნაძალადევის (ე. გილანიშვილის სახელობის) ქალ-ვაჟთა მთავრობის გიმნაზია აუწყებს საზოგადოებას, რომ მისაღები გამოცდები დაიწყება 8 სექტემბერს

თავისუფალი ადგილები როგორც ვაჟთათვის, ისე ქალთათვის არის 1, 4, 5, 6 კლასებში. კანცელარია ღია არის სამშაბათობით და პარასკეობით დილის 10—12 საათამდე. (2736 1—1)

მუშათა მაგიდა აცხადებს, რომ სიების და საალფავიტო ბარათების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია 25 აგვისტომდე

სიები და საალფავიტო ბარათები უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯგუფობრივ. ვინც ამ ვადაში არ წარმოადგენს სიებს, მათ პური არ მიეცემათ.

მუშათა მაგიდა. (6. 3—2)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ ა. წ. 1 სექტემბრიდან იხსნება მებოსტნეობის პრაქტიკული სკოლა

პირობებისა და ცნობების მიღება ყოველ დღე 8—12 საათამდე. (მუშტაიდის შესახვევი № 4. ყოფილი საბაღოსნო სკოლა). (6. 12—7)

ახალი გამოცემანი

საქ. მასწავლებელთა კავშირისა,

1) **შრომის სკოლა** გ. კერშენშტეინისა . . ფ. 25 მ.
2) **ძერწვა**, სურათებიანი სახელმძღვანელო ბავშვებისათვის, ნაწილი პირველი . . . . ფ. 35 მ.
3) **საკლასო ჟურნალები**, (50 მოწაფეზე) . . ფ. 150 მ.
4) **ბლანკები გაკვეთილების გან წილებისათვის** ფ. 5 მ.

იბეჭდება და მალე გამოვა:

5) **თავისუფალი აღზრდის თეორია და იდეალური საბავშო ბაღი.** ლექციები კ. ნ. ვენტცელისა, ნაწილი პირველი.
6) **ქართული მოძრავი ანბანი** (კარდონზე).
7) **კედლის სურათები**, (პლაკატები) ზომით თითო 12—16 ვერშ. წერა-კითხვის თვალსაჩინოდ სწავლისათვის, სულ ხუთი სურათი, ამათგან ერთი ფერადია.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:** ვინც ასობით წაიღებს, დაეთმობათ 20 პროც.

მისამართი: თფილისი, დამფუძნ. კრებ. ქ. № 5, მასწავლებელთა ბიურო. (2721 4—3)

თფილისის საპედაგოგიო ინსტიტუტი (არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტთან).

ამით აცხადებს, რომ თხოვნების მიღება სწარმოებს

20 ივლისიდან 30 აგვისტომდე

როგორც პირველის, ისე მეორე საფეხურისათვის,—ყველა დარგებზე. მიიღება თხოვნები აგრეთვე ინსტიტუტთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ყველა კლასებში. მისამართი: თფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 91. კანცელარია ღიაა: 8—11 ს. დილით—ყოველ დღე (უქმის გარდა). (6. 12—8)

26 აგვისტოს დილის 10 საათზე ქ. ხონში დანიშნულია ხონის რაიონის მასწავლებელთა კრება

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. (6. 1—1)

ხონის ფილიალის გამგეობა.

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი მ. ი. ვოლოხი

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614— თ.)

## ჩვენ და სომხეთი

საქართველოს დემოკრატიას ისევ გადაუჭრელი უძევს წინ დიდი და თავსატეხი პრობლემა ამიერ-კავკასიის ხალხთა შეთანხმებულ მუშაობის მოწესრიგებისა.

ჯერ იყო და ევროპის იმპერიალისტების შემოსვლამ და გამთიშველმა მუშაობამ აიყოლია ხან სომხეთი, ხან აძერბეიჯანი და ყოველი მოლაპარაკებანი გააქიანურებინა. ელოდნენ, რომ ეს მესამე ძალა მათ ყურში ჩაჩურჩულებულ დაპირებებს შეუსრულებდა და გააბედნიერებდა საქართველოს ხარჯზე.

ახლა საქმე კიდევ უფრო რთულია. რუსეთის ჯარის შემოსვლამ აძერბეიჯანში და მისმა ლტოლვამ ქემალ-ფაშის არმიისაკენ, სულ ყირაზე დააყენა ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის საკითხი.

აძერბეიჯანი ერთბაშად გამოეთიშა დანარჩენთ და მათთან საომარ განწყობილებაში ჩადგა. ის ახლა დიდი რუსეთის წითელი ლაშქრის ხიშტებით ოცნებობს იმ წვრილმანურ ანგარიშების გასწორებას, რომელზედაც „მუსავატის“ მთავრობა ოცნებობდა. ამრიგად, აძერბეიჯანში ამ ჟამად დემოკრატიულ სოლიდარობაზე ლაპარაკი ძნელია. აქ ომის ქინია გამეფებული.

სამაგიეროთ ეს გარემოება აახლოვებს და ათვისებს ერთმანეთს ორ დანარჩენ რესპუბლიკებს. საქართველოს და სომხეთს. ორივენი დღეს ერთ საფრთხის წინაშე დგანან—ეს არის კავშირი აძერბეიჯან-ქემალისტების. განსაკუთრებით ეს საფრთხე თვალსაჩინოა სომხეთისთვის.

ცხადია ასეთ დროს ყოველი ზურგის გამმაგრებელი ძალა უნდა სასურველი იყოს და მისაღები. საქართველოს და სომხეთს კი შეეძლოთ ერთმანეთის ყავარჯნებათ ყოფილიყვნენ ამ მომენტში. მაგრამ, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, ამ მისიის შესრულებას აბრკოლებს „ძველი ცოდვები“ ე. ი. გადაუჭრელი სადავო კითხვები, რომელნიც რაც უნდა მნიშვნელოვანი გვეჩვენოს შედარებით კარზე მომდგარ მთავარ საკითხთან მაინც მცირეა. და ასეთ მომენტში უდიდესი შეცდომა იქნებოდა ორივე რესპუბლიკის მართველი წრეების მხრივ, რომ მათ არ გადადგან ნაბიჯი ყველა სადავიდარაბო საკითხების მოსაწესრიგებლათ და იმ მძიმე ატმოსფერის გასაფანტავათ, რომელიც ინგლისის შემოსვლისა და ბორჩალოს ომის დროიდან დაგუბდა.

სომხეთი, როგორც სჩანს, თანდათან მეტის სიტკიცით ადგება დამოუკიდებლობის გზას. ოსმალეთთან ზავი და ერზერუმ-ბითლის-ტრაპიზონის რაიონებში ტერიტორიის მიკუთვნება აორკეცებს ამ მისწრაფების სიძლიერეს.

ასეთ პირობებში დამოუკიდებლობა ხდება ერთად ერთი გზა და ხიდი სომხის ერის აღორძინების და კეთილი ცხოვრების.

ამასთანავე მას ამ ცხოვრების მოსაწყობათ უჩნდება მეტად რთული და პასუხისაგები საქმეები ოსმალეთის სომხეთში. იქ ისკვნება მთავარი საარსებო კვანძი სომხეთის ერის. და იქაურ პრობლემის გადაჭრა იქცევა უდიდეს საკითხათ. ცხადია ასეთ გარემოებებში შედარებით მეორე საკითხი საქართველო-სომხეთის საზღვრებისა აღარ უნდა დარჩეს ისეთი მწვავე, და არ უნდა იწვევდეს ისეთ სასტიკ წინააღმდეგობას და შეურიგებლობას, რომელსაც ადგილი ქონდა დღემდე.

სომხეთს დღეს ტერიტორია საკმაოზე არა ნაკლები აქვს მიკუთვნებული. და მან უნდა მეზობლებსაც მისცეს საშუალება არსებობის და ხელფეხის გაძრევის. ტერიტორიულ საზღვრების საკითხის შერიგების და კეთილ მეზობლურ ნიადაგზე დაყენება სომხეთის მხრივ უნდა გახდეს საფუძვლათ იმ სულიერი განწყობილების, რომელიც ორივე ერს გაუხსნის გზას და ეკონომიურ განვითარების საშუალებას ევროპასთან მჭიდრო დაკავშირებით. საქართველოს დემოკრატია ამ მხრივ არასოდეს არ გადაელობება წინ სომხეთის ხალხის ინტერესებს. პირიქით იმ სოლიდარობის გრძნობით შეეგებება მათ არსებით საჭიროებას.

ეს დღეს აუცილებელია. თვით ცხოვრების ულმობელი პირობები გვიკარნახებენ ამ დემოკრატიული გზის არჩევას.

და ჩვენ უნდა შევძლოთ დაუყონებლივ გადადგმა ამ მხრივ პირველი ნაბიჯების მაინც.

დაუყონებლივ უნდა იქნეს მოწესრიგებული ნეიტრალური ზონის საკითხი ბორჩალოს მაზრაში, უნდა მოხდეს სრული ლიკვიდაცია ამ ნაშთის, რომელიც ეკალივით შერჭობია ჩვენს სხეულს შუაში და ჩვენს მეხსიერებაში ყველაზე უსიამოვნო წუთებს აღვიძებს. ამ ნაბიჯით გაწყდება ის მოლაპარაკებათა დაუსრულებელი ჯაჭვი, რომელიც თითქოს უშედეგობის მიზნით იყო წარმოებული. სიტყვა საქმეთ იქცევა, მოლაპარაკება შეთანხმებათ და მეგობრული გრძნობა, რომელიც ამ ორ ერს აერთებდა, კვლავ გადმოიმდინარებს, რომ დემოკრატიული სოლიდარობის განმტკიცებას ჩაუყაროს მტკიცე ნიადაგი. საქართველოს დემოკრატია უწვდის ხელს სამეგობროთ და იწვევს სომხეთის ხალხს ძველი უთანხმოების სალიკვიდაციოთ. ჩვენი მთავრობა ვერ გადაუდგება დემოკრატიის აზრსა და საკითხს. საქმე სომხეთის მთავრობაზეა.

## მარქსიზმი ბოლშევიზმის ტყვეობაში

### II

#### კოლონიალური პოლიტიკა.

„რუსულ კომუნიზმს“ აღმოსავლეთის საკითხი დღეს მონოპოლიათ აქვს აღებული და ყოველ თავის ნაბიჯს თურქესტანში თუ სპარსეთში ამართლებს მსოფლიო რევოლიუციის მოახლოვებით და ამ რევოლიუციაში აღმოსავლეთის, როგორც რევოლიუციის უმთავრეს მამოძრავებელ ფაქტორის, გამოყენებას ფიქრობს.

კომუნისტური გაზეთები და ჟურნალები სავსეა აღმოსავლეთის ამბებით, დაუსრულებელ გეგმებით ინდოეთის, სპარსეთის და ოსმალეთის აჯანყების შესახებ. ყოველი მოძრაობა ამ ქვეყნებში, როგორი სახეც არ უნდა ქონდეს მას დღეს, ბოლშევიკების აზრით არის ერთი ნაბიჯი წინ მსოფლიო რევოლიუციისაკენ და თუ დღეს აღმოსავლეთის ნაციონალისტური მოძრაობა შესძლებს გამარჯვებას, რა გინდ მახინჯი სახეც არ უნდა მიიღოს მან, „რუსული კომუნიზმი“ ამას სთვლის ევროპის სოციალისტური რევოლიუციის პირველ დღეთ, ვინაიდან მათი აზრით მეტროპოლია დაეცემა უკოლონიოთ, ნედლ მასალას მოკლებული ევროპა ბოლოს მოუღებს კაპიტალიზს. ამ მხრით შესანიშნავია კონგრესზედ გამართული კამათი, წარმოდგენილი მოხსენებები ინდოეთის და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნების „კომუნისტურ მოძრაობის“ შესახებ. მე გულდასმით გადავათვალიერე ეს მოხსენებები, ვცდილობდი მომენახა თუნდე ერთი კომუნისტური ჯგუფი ამ ქვეყნების მოძრაობაში, მარა თვით მომხსენებლები ამტკიცებდენ, რომ კომუნისტური პარტიები აქ არ არსებობობენ, აქ არის მხოლოდ ნაციონალისტური მოძრაობა, მიმართული კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ და არსად, არც ერთ ქვეყანაში ამ მოძრაობას არ მიუღია მუშათა კლასის მოძრაობის სახე, ის მხოლოდ და მხოლოდ ისლამის დროშის ქვეშ ხდებოდა და იბრძოდა „ნაციონალური“ განთავისუფლებისათვის. კონგრესზე ინდოეთის წარმომადგენელმა რომ იმედი გამოსთქვა, რომ **„ბევრი ნაციონალისტ - რევოლიუციონერები, სრულიად გულწრფელად ილტვიან ხალხის განთავისუფლებათ, სიხარულით შევლენ რევოლიუციონურ პროლეტარიატის კომუნისტურ პარტიაში, მარა მათ უნდა წინამძღოლები, მათ ესაჭიროება მორალური და მატერიალური დახმარება“** *) რუსეთის კომუნისტები აღმოსავლეთის საშუალებით ცდილობენ ევროპაში გადატრიალების მოწყობას, ხოლო კოლონიალურ აღმოსავლეთს, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში დაქვეითებულია მონობის საფეხურამდე ევროპის მტაცებლურ კაპიტალის კოლონიალურ პოლიტიკით, თვით სურს ევროპის მუშათა კლასის საშუალებით განთავისუფლება. და აი, იმ მორალურ დახმარებაზე, რომელზედაც ამბობს როიარასოდეს უარი არ უთქვამს მუშათა კლასს, პირიქით, ინტერნაციონალური სოციალ დემოკრატია ერთად ერთი იდგა დარაჯათ კოლონიალურ ქვეყნების დაბეჩავებულ ხალხებს, რომელთაც ისე, როგორც თურქესტანის წითელი ხიშტები, ქლეტდენ განათლებული ევროპის იმპერიალისტური ხიშტები. არ ყოფილა მომენტი, რომ პროლეტარიატს თავისი ხმა არ აღემაღლებიოს კაპიტალისტთა მტაცებლურ პოლიტიკის საკითხში, იყო ეს ალჟირის და მაროკოს თუ ჩინეთის, ან სპარსეთის. ევროპის პროლეტარიატი იბრძოდა ყველა მის განკარგულებაში მყოფ საშუალებებით მართალია, მას იარაღით დახმარება არ გაუწევია ამ კოლონიალურ ქვეყნებისათვის, მარა ასეთ დახმარებით ვერ დაიტრაბახებენ თვით „ცრუ კომუნისტებიც“, რომელნიც ხიშტებით მოევლინენ აზიის ორ ქვეყანას თურქესტანს და სპარსეთს, ხოლო თუ როგორ გაანთავისუფლეს ისინი, ამაზე მჭერმეტყველურად ლაპარაკობს გ. საფაროვის წერილი.

ცხადია, რომ აღმოსავლეთის მოძრაობა არის წმინდა ნაციონალური, რომელსაც აქვს მნიშვნელობა დღემდი დამონებულ ერების განთავისუფლებისა, მარა ის ვერ ჩაითვლება სოციალურ რევოლიუციათ, მას ვერ მივაკუთვნებთ მესაჭეობას დასავლეთის სოციალისტური მოძრაობისა. მარა საქმე იმაშია, რომ „რუსულ კომუნიზმს“ წარმოდგენილი აქვს ყველაფერის ხიშტით გაკეთება. მე მოვიყვან აქ გრძელ ამონაწერს თეზისებიდან **„კომუნისტურ ინტერნაციონალის მიზნებისა აღმოსავლეთში“.** რომელიც მოთავსებულია იმავე ჟურნალში. აქ ვკითხულობთ: „აზიაში რევოლიუციის პირველი სტადიის გამარჯვება ხდება მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლიუცია იმარჯვებს. პროლეტარულ ევროპას არ შეუძლია დარჩეს უბრალო მაყურებლად აღმოსავლეთის ფართო მასის ტანჯვაში, რომელიც სულს ღაფავს ბურჟუაზიული დემოკრატიის უღელს ქვეშ. ევროპის პროლეტარიატი, რომელიც აღვსილია ინტერნაციონალური სოლიდარობით, დაეხმარება მათ. რასაკვირველია, ჩვენ თავიდანვე შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ბურჟუაზიულ წრეებში შექნება განგაში, **მაგრამ დასავლეთის ამხანაგებო იყავით დარწმუნებული, რომ აზიის მშრომელი პროლეტარიატი და გლეხობა თქვენ შეგხვდება ძმურათ და სიხარულით, ვინაიდან აღმოსავლეთით იყო წინააღმდეგი მხოლოდ იმ უცხოთა ჩარევისა. რომელთაც მიჰქონდათ მისთვის ბორკილები მონობისა, ხოლო დასავლეთის სოციალისტურ პროლეტარიატის ჩარევა იქნება უდიდესი და აუცილებელი დახმარება აზიის მშრომელ მასისთვის, თავის ბრძოლაში ყოველგვარ ექსპლოატაციის წინააღმდეგ. აღმოსავლეთის პროლეტარიატს სწყურია ახეთი „ჩარევა“.**

ჩვენ არას ვიტყვით დასავლეთის პროლეტარიატის „ჩარევაზე“, ჩვენ გვწამს ევროპის მუშათა კლასის შეგნება და მისი ძლიერება, მარა მესამე ინტერნაციონალის „რუს კომუნისტებს“ ჯერ-ჯერობით მაინც „სოციალისტური ჩარევა“ ესმით ისე, როგორც ისინი „სოლიდარობის გრძნობით“ ჩაერივნენ თურქესტანს, შემდეგ აძერბეიჯანს და შემდეგ კი სპარსეთს. თუ რა მიიღო აქ ქვეყნებმა „კომუნისტებიდან“ ჩვენ კარგათ ვიცით.

მარა ყველაფერი ეს გარეგნულათ მაინც არის შეფერილი „სოციალიზმის ფერით“, ყველგან და ყოველთვის ამსხვრევენ კოლონიალურ პოლიტიკას და ამაში იშველიებენ მარქსიზმს, ამართლებენ თავის ნაბიჯებს მუშათა კლასის მანათობელ მეცნიერებით. 1-ლ წერილში ჩვენ მოვიყვანეთ მთელი რიგი ამონაწერებისა იმაზე, თუ როგორ დაამყარეს „სოციალიზმი“ თურქესტანში და განაცხადეს, რომ **„ეს არის მაგალითი აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებისათვის“.** რომ კარგათ გავერკვეთ გარეგნულათ სოციალიზმის საფერავით შეთითხნილ რუსულ კოლონიალურ პოლიტიკაში, საჭიროა ვიცოდეთ ეხლა როგორი წესწყობილება არსებობს თურქესტანში და რაც უმთავრესია, გავეცნოთ საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მონახულ წყაროებს.

მივმართოთ ფაქტებს. გ. საფაროვი სწერს: „გარეგნულათ თურქესთანში მდგომარეობა სრულიად კარგავს თავის სიმწვავეს საბჭოთა რუსეთთან შემოერთების შემდეგ. გვეძლევა საშუალება აქაც გავატაროთ რევოლიუციით ნაცადი ინტერნაციონალური კლასიური პოლიტიკა. ყველა რეზოლიუციები, დეკლარაციები და დეკრეტები მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ. მიუხედავათ ამისა საქმეზე გამოდის რაღაც სულ სხვა. ჯერ ერთი კოლონიზატორობა ჯერ კიდევ რჩება ძალაში. ის ეყრდნობა სემირეჩინის „კულაკს“, რომელიც ბევრ შემთხვევაში დამოუკიდებელი მეფეა, მეფის ძველ ჩინოვნიკს, რომელიც მაგრათ არის ჩამჯდარი „ადგილობრივათ“, ხოლო მეორე მხრით ადგილობრივ მცხოვრებთა საზოგადოებიდან ყველაზე უფრო „თვითერკვევიან“ მქონებელი კლასები—ბაები, მანაპები, სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელნი და ყოფილი ყოვლის შემძლე მთარგმნელები მეფის ბოქაულებთან. მუსულმანურ პროგრესიულ ინტელიგენციისთვის ნაციონალური თვითგამორკვევა ნიშნავს იდეოლოგიურ გამართლებას საკუთარ კერძო ინტერესების დაცვისა საბჭოთა ძალა უფლების მფარველობის ქვეშ. ისინი ძვრებიან რევკომებში, ისპოლკომებში, პარტიულ კომიტეტებში და იქ თურქესტანის მთავრობის „დეცენტრალურ“ მდგომარეობის გამო, აღგენენ დიდ ძალას. შეიძლება მოგვეყვანა ათეული და ასეული გვარები საგამომძიებლო მასალებიდან რაც ამტკიცებს ამ დამახასიათებელ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას“.

მაგრამ ეს რომ ყოფილიყო სამოქალაქო ომის პირველ ხანაში თქვენი ჭირი წაუღია. მაგარიც ის არის, რომ ამ ჟამად თურქესთანში ნამდვილი ჯოჯოხეთია, რომლის წინაშე იჩრდილება თვით აფრიკის კოლონიებში ყვითელ კანიანთა საშინელი მდგომარეობაც. საფაროვი მჭერმეტყველურათ ახასიათებს თურქესთანის უკანასკნელ დღეების მდგომარეობას: „თურქესთანი წარმოადგენს უმდიდრეს სამეურნეო ტერიტორიას, რომელსაც უდიდესი მომავალი აქვს, მარა მიუხედავათ ამისა განადგურება აქ უფრო ძლიერია, ვიდრე დამშეულ ცენტრალურ რუსეთში. სპეკულიაციამ აქ საზღაპრო საზღვრამდი მიაღწია და უკადის მთელ წარმოებას განადგურებას. სირდარიის და სემირეჩინის ოლქების კირგიზი მცხოვრებლები დამშეულია, რადგანაც მათ უხდებათ პურის შეძენა რუს „კულაკებთან“ და მანაპებთან, ხოლო ამისთვის მონათ ხდება. ფერგანის მიწის მუშა ხალხი სრულიად დარბეულია ბასმაჩთა მოძრაობის დროს. ამის ნიადაგზე თავის ბედნიერებას აგებენ ნახევრათ ფეოდალები და ნახევრათ „კულაკები“ ბაები. თავისი ძალით არ შეუძლია წარმოსდგეს აგრეთვე თურქმენთა ღარიბ ხალხს, რომელიც ცოცხალი და მკვდარ ინვენტარის უქონლობის გამო ხელში უვარდება მდიდრებს. ამჟამად მთავრობა მხოლოდ რკინის გზის ლიანდაგზე უფლობს. კიშლიაკებში და აულებში მხოლოთ და მხოლოთ „ძლიერები“ ბატონობენ. არ არის მაგარი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს დაცვა ხალხის ბასმაჩთა, ბაების, მანაპების და ჭეშმარიტ რუსთა ძარცვისაგან“.

და ბოლოს საფაროვი დასკვნის, რომ **„თურქესთანში საბჭოთა მმართველობა უნდა იყვეს მანათობელი ვარსკვლავი აღმოსავლეთის ყველა ხალხებისათვის“.**

ნიალელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. ჟურნალი „კომუნისტური ინტერნაციონალი“ № 12, გვ. 2172.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**სამხედრო წესები წყლის გზებზე.** წყლის გზებით ტვირთის გადაზიდვის გასაძლიერებლად და აგრეთვე წყლის ტრანსპორტში შრომის ნაყოფიერების და დისციპლინის ასაწევათ შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა: 1) საბჭოთა რუსეთის ყველა წყლის გზებზე მდინარეებზე, (ტბებზე და ზღვებზე) გამოცხადდეს სამხედრო წესები, 2) წყლის ტრანსპორტის სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი, როგორც გზებზე, ისე სანაპიროზე მყოფნი, ჯარში გაწვეულად ჩაითვლებიან.

**67 კაცის დახვრეტა.** მოსკოვში სამხედრო კომისარიატის მიმღებ კომისიაში დიდი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინეს. ექიმების და მოსამსახურეების ერთ ჯგუფს სამხედრო სამსახურისაგან გაუნ-

# დღეს

**პოლონეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარების საერთო უკან დახევა დაიწყო.**
**ბალშევიკების ცნობით ცეხანო-მაკოვის რაიონში მედგარი ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ახალ პოზიციაზე დაიხიეს.**
**საბჭოთა ჯარმა დასტოვა ბრესტ-ლიტოვსკი.**
**გერმანული ცნობით პოლონეთის ჯარმა ქალაქი სედლეცი დაიბრუნა.**
**გერმანული პრესა უარყოფს „ტაიმსის“ ცნობას, თითქოს აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე ტროცკის და გერმანიის გენერალური შტაბის აფიცრების თათბირი მომხდარიყოს.**

თავისუფლებია ქრთამით 8,000 კაცი, რომელთა უმეტესი ნაწილი არიან ვაჭრები და სპეკულიანტები. „ჩრეზვიჩაიკას“ დადგენილებით დახვრიტეს 67 კაცი. სამ 15 წლის იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს პირობით, იმ თუ რაიმე დანაშაული კიდევ შეამჩნიეს, მათაც დახვრეტენ. („კომ.“ № 64).

**„მღვდლები არ ისვენებენ“.** ამ სათაურით ბაქოს „კომუნისტ“-ის № 67 დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: **„როსტოვი, 19 ივლისი.** დონის ოლქში სოფ. სოკოლნიცკის გზაზე შეიპყრეს „კულაკები“, რომლებმაც არ შეასრულეს პურის „შეწერა („რაზვერსტკა“). კულაკებმა შეადგინეს 500 კაცისგან შემდგარი ბრბო, დაიხსნეს თავს ისპოლკომის წევრებს და უწესრიგოთ სროლა ასტეხეს. აჯანყება მალე ჩააქრეს, მეთაურები შეიპყრეს, მათგან 8 დახვრიტეს, 10 იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს. აჯანყების მთავარი მომწყობი აღმოჩნდა მღვდელი“.

**კომუნისტი—მღვდელი.** ამ სათაურით ბაქოს „კომუნისტ“-ის № 72-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: „კურსკის მაზრის სოფ. ნიჟნე გუტოროვოს მღვდელმა საყდარში ქადაგობის დროს აღნიშნა, რომ საბჭოთა ძალაუფლებას არ შეუძლია ერთბაშათ განახორციელოს ხალხის კეთილდღეობისაკენ მიმართული თავისი მიზან მისწრაფებანი, რადგან მშრომელებს ძალიან ბევრი მტრები ჰყავს. მესამე წელიწადია, რაც წითელი არმია მათ ებრძვის—განაცხადა მღვდელმა—მამაცათ იცავს მშრომელთა ინტერესებს და აახლოვებს მშრომელი ხალხის სრულ ზეიმის სასიხარულო დღეს. საბჭოთა მთავრობას დიადი და მაღალი მიზნები და მისწრაფებები აქვს, საყოველთაო ბედნიერებისაკენ მიჰყავს ხალხი და ყოველი პატიოსანი მუშაკი მოვალეა ფხიზლად დაიცვას საბჭოთა მთავრობის ინტერესები“.

**მაჰმადიანი ქალების კონფერენცია.** ტაშკენტში შესდგა მაჰმადიან ქალების კონფერენცია, სადაც ინდოეთიდან ჩამოსულმა რევოლუციონერმა დიდხანს ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა ქალებმა მოიხსნან ჩადრი. მისმა სიტყვამ ვერ მოახდინა შთაბეჭდილება და უპასუხეს, რომ ჯერ არ დამდგარა საამისო დრო და პირობებიო.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

აგვისტოს 23.

## ბალშევიკების ცნობები

**სამხედრო ხასიათის არგუმენტები.**

(დასაწყისი არ მივიღია) სწორედ მაშინ დაგვესხა თავს ყველა ფრონტებზე პანების ურდოები. ჩვენ ეს დავიმახსოვრეთ და ვიცით და ამიტომაც ვთხოულობთ გარანტიას, რომ უზრუნველყოფილი ვიქნებით ახალ თავდასხმისაგან. ჩვენ გვწამს პოლონეთის მუშები, მაგრამ არ გვწამს პოლონეთის ბურჟუაზია. მისი დელეგაცია ეხლაც კი საბოტაჟს გვიკეთებს, რადგანაც ამ უკანასკნელ დღეებში ვერ ვიმარჯვებთ. ის საბოტაჟს მით უფრო აძლიერებს. ამიტომაც ბრძოლის ამ ფრონტზე საჭიროა წითელ არმიელთა დახმარება. ბურჟუაზიაზე ყველაფერზე მეტად ნივთიერი და სამხედრო ხასიათის არგუმენტები მოქმედობს. წითელ არმიელების ზურ- [illegible]

**რუსეთის საერთო მდგომარეობა.**

[illegible]

პარტიულ ორგანიზაციებს ძველებური სისწორით და სისწრაფით ხელი შეუწყონ პარტიის მობილიზაციის ცხოვრებაში გატარებას, ორგანიზაციებმა უნდა წამოაყენონ ვრანგელის ფრონტზე მყოფ ჯარის დახმარების საკითხი და გააჩაღონ აგიტაცია გლეხებში წითელ ჯარში ჩაწერის მიზნით.

**სამხედრო რადიოს ცნობა.**

ლომჟის რაიონში ჩვენი ჯარი ებრძვის მტერს, რომელიც ქალაქ ოსტროვის ჩრდილოეთით თანდათან ანვითარებს შეტევას. ბრესტ-ლიტოვსკის მიმართულებით ჩვენებმა დასტოვეს ქალაქი ბრესტ-ლიტოვსკი (დამახინჯებულია) აღმოსავლეთით და ხოლმში (?) ხდება თავგანწირული ბრძოლები. გალიციის რაიონში, ჩვენი ჯარი გამოვიდა (დამახინჯებულია) ხაზზე მდინარე ზოლოტაია ლიპასთან და იბრძვის მის გადასავლელთან. ყირიმის ფრონტზე ორეხოვის რაიონში ჩვენი ჯარი იგერიებს თავგანწირულ [illegible]

## ფრანგული ცნობები

[illegible]

მიაში სიწყნარე არ არის. სპარსეთისაკენ მიმავალი გზა გაფიცულია.

**ლოიდ-ჯორჯის და ჯიოლიტის შეხვედრა.**

თანახმად „პტი ჟურნალის“ ცნობისა ლოიდ ჯორჯი და ჯიოლიტი ერთმანეთს ლიუცერნში შაბათს შეხვდებიან.

## გერმანული ცნობები

**ბრესტ-ლიტოვსკის აღების შესახებ.**

პოზენში მყოფ ამერიკის მასიას ვარშავიდან პოლონელების მიერ ბრესტ-ლიტოვსკის აღების შესახებ ატყობინებენ.

**მდგომარეობა ჩრდილოეთის ფრონტზე.**

პოლონელები ოფიციალურად იუწყებიან, რომ მდგომარეობა ჩრდილოეთის ფრონტზე ისევე გაუმჯობესდა, როგორც ვარშავა-ბრესტ-ლიტოვსკის ხაზზე, სადაც სედლეცი უკან დავიბრუნეთ. სამხრეთით პოლონელებმა სოკოლიბუსკი აიღეს და ბუდიონი ბუგს იქით გადარეკეს. ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ დემბერგის საშიშროება თავიდან აცილებულია.

## ლიონის ცნობები

**პოლონეთის შეტევა.**

1) შუა ბუგი. სამხედრო მოქმედებათა მთავარი ასპარეზი: პოლონეთის ჯარებმა, რომლებიც მიიწევენ წინ ივანგოროდიდან ბრესტ-ლიტოვსკის მიმართულებით, შუა ბუგის ველს მიაღწიეს. უკანასკნელ დღეებში წამოყვანილ ტყვეების რიცხვი 19,000 აღწევს. 2) ნარევზე: ამ ჟამად სამხედრო მოქმედება ნარევის და ბუგის შუა მომწყვდეულ სამკუთხედში ვითარდება. ვარშავასთან დამარცხებული ბალშევიკების ჯარი ამ რაიონით იხევს უკან. როგორც სჩანს მიზანი პოლონეთის ჯარისა, რომელიც ოსტროლენკოსკენ მოიწევს, არის ბალშევიკების ჯარის ცენტრის მოჭრა მარჯვენა ფრთიდან. ბალშევიკებმა ვარშავას და დანციგის შორის გზის გადასაჭრელად საგრძნობი ძალები გაგზავნეს. ეს ჯარები წინ შეეჩეხა პოლონეთის იმ ჯარის ნაწილებს, რომლებიც პოზნანში და პომერანიაში შესდგა და რომლებმაც შეაკავა ბალშევიკების ჯარები პოლონეთის და პრუსიის შორის მდებარე ხაზზე; მეორე არმია მიემართება (გამოტოვებულია)...,

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.**

23 აგვისტო.

**21 აგვისტოს სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი.** 22 აგვ. (რადიო) ცეხანოვმაკოვის რაიონში მედგარი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგის ძალდატანებით ჩვენმა ნაწილებმა ახალ პოზიციაზე დაიხიეს. მედგარი ბრძოლები გრძელდება.

ვოლინის ვლადიმირის რაიონში ქ. გრუბეშოვის მტერმა დასავლეთით რამ- [illegible]

ლოვის რაზმები თეოდოსიის რაიონში მოქმედებს.

**ხალხთა ლიგა.**

**ლიონი,** 21 აგვ. (რადიო) ხალხთა ლიგის სხდომაზე კვლავ განიხილეს საყოველთაო განიარაღების საკითხი. შემოვიდა წინადადება სამხედრო მასალების და იარაღის დამზადების აღკრძალვის შესახებ.

**ვრანგელზე.**

**მოსკოვი,** 18 აგვ. რუსეთის ყველა ქალაქებიდან მოდის ცნობები სამხრეთის ფრონტზე მოხალისეთა გზავნის შესახებ.

**ამერიკის ფლოტი.**

**ლიონი,** 19 აგვ. გაზ. „ფიგარო“ იუწყება, რომ ამერიკის კრეისერმა „პიტსბურგმა“ ბრძანება მიიღო ბალტიის ზღვაში წასასვლელათ. ამერიკის ფლოტი შავ ზღვაზე გადიდებული იქნება ერთი კრეისერით და 6 გამანადგურებელით.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

23 აგვისტო.

**საბჭოთა მდგომარეობის შესახებ.**

**პარიჟი.** აგვ. 8. „ჟურნალი დე დება“ ფროსარისა და კაშენის მიერ გამოგზავნილ დეპეშას, რომელიც საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას ეხება, მეთაურს უძღვნის. წერილში აღნიშნულია, რომ „ჰუმანიტე“ აქვეყნებს მოსკოვიდან გამოგზავნილ ფროსარისა და კაშენის დეპეშას, რომელშიაც აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის მტკიცე მდგომარეობა: ყველგან წესიერებაა, ნოვგოროდშიაც, ყაზანშიაც, სიმბირსკშიაც და სხ.

**არაბები და ლორდ კერზონი.**

**ლონდონი.** აგვ. 6. „ტაიმსი“ კიცხავს ლორდ კერზონს არაბებისადმი უსამართლოდ მოქცევის გამო. ლორდ კერზონმა არაბების თვით გამორკვევის უფლება იცნო. ამავე დროს მას სახეში ქონდა მესოპოტამიის არაბები, პალესტინის არაბებს კი კერზონმა ისეთი ერი უწოდა, რომელსაც არ შეუძლია პროგრესის გზას დაადგეს და ამის გამო თვით გამორკვევის უფლებაზე უარი უთხრა. კერზონს, აღნიშნავს გაზეთი, როგორც სჩანს, ეშინიან პალესტინაში არაბები ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრებენო. კერზონი ფიქრობს, რომ დიდი საოკუპაციო ჯარი პალესტინაში ავტონომიას სჯობიაო (დ. ს.).

**ახალი რესპუბლიკები.**

**ლონდონი,** აგვ. 15. ბონაურ ლოუმ თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე, თუ რომელი სახელმწიფოები აღმოცენდენ ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, შემდეგი ახლად დაარსებული სახელმწიფოებრივი ერთეულები ჩამოთვალა: პოლონეთი, ფინლიანდია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, სომხეთი, საქართველო, აღერბეიჯანი, უკრაინა, ყირიმი, ვერხნეუდინის რესპუბლიკა. ამ [illegible]

**ყირიმის ფრონტზე.**

**ბათუმი,** აგვ. 23. სევასტოპოლიდან მიღებულ ცნობით გენ. ვრანგელი შეთანხმებია დონის, თერგის, ყუბანის და ასტრახანის მთავრობებს. ამ შეთანხმებით ვრანგელს ენიჭება სრული უფლება ყაზახთა შეიარაღებულ ძალებზე. შეთანხმებას ხელს აწერს ვრანგელის გარდა კრივოშეინი და ყაზახთა ყველა ატამანი.

გენ. ვრანგელის შტაბის ოფიციალურ ცნობაში აგვისტოს 16-დან ნათქვამია: შავი ზღვის ნაპირად ჩვენმა ფლოტმა გაანადგურა ოსტროვნაია, ოჩაკოვში მყოფ ნიკოლაევსკაია და მტრის ბატარეის ნაწილი, რომელიც დნეპრის და ბუგის შესართავთან მისვლას ხელს უშლიდა.

## ჩრდილო კავკასიაში

**არეულობა ყუბანში.**

„ვოლნი გორეც“-ის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობები: გენერალ ფოსტიკოვის კორდონიკსკის სტანიცის ახლოს ბალშევიკებთან შეტაკების შემდეგ, სადაც გენერალმა ფოსტიკოვმა ხელთ იგდო 30 ტყვიის მფრქვეველი და რამდენიმე ზარბაზნებიც, ყუბანში აჯანყებულთა მოძრაობა სწრაფად გაიზარდა. ივლისის ბოლოს ფოსტიკოვის ხელში აღმოჩნდა ყარაჩაის რაიონი კისლოვოდსკამდე და შემდეგი რაიონები: სუვოროვსკის, ბეკეშევსკის, ბუგურუსტანის, ბატალპაშინის და დომეჩეტის სტანიცებისა, ფოსტიკოვის მოძრაობა იღებს სერიოზულ ხასიათს, ვინაიდან ბალშევიკურ ჩრდილო-კავკასიას ორ ნაწილად ჰყოფს.

**ყაზახთა გაერთიანება.** ყირიმში შესდგა თათბირი დონის, ყუბანის და თერგის ყაზახებისა; მათ დასდეს ხელშეკრულება, რომლითაც ვრანგელი ცნობილია სამხრეთ რუსეთის მმართველად, საერთო ექნებათ ფულის ნიშნები, შეიარაღებული ძალა, ეკონომიური, სადამოჟნო და საგარეო პოლიტიკა. დამოუკიდებლობა რჩება მხოლოდ კერძო ნაწილების სამოქალაქო მმართველობის საქმეში.

**მძევლები.** სოფ. ჩოხაში დაპატიმრეს მაგომეტი მამრაევი, რომელსაც თემირხანშურაში აქვს ქონება. დაპატიმრებულია სხვებიც. ეს პირები, როგორც დაღესტნის „ჩეკისტებმა“ განაცხადეს, დაუპატიმრებიათ, როგორც მძევლები იმ შემთხვევისათვის,—თუ აჯანყება მოხდება.

**დაპატიმრება და ხვრეტა თემირ-ხან-შურაში.** თემირ ხანშურაში ამ უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა დაპატიმრება. კერძო საუბარში დაღესტანის „ჩეკას“ წევრმა განაცხადა, რომ დაპატიმრებული იქნებიან ყველა ის მოღვაწენი, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ მთიულეთის მთავრობასთანო. დაპატიმრებულია: ექ. ურუსოვი, ალიხან-კანტემირი, რამიდხან კაპლანოვი, და [illegible]

## ახალი ამბები

[illegible]

კვიძეს, ლომიძეს და სარევიზიო კომისიის წევრს ამ. ფერაძეს მოიწვიენ კოლექტივის ბინაზე.

✦ **საქართველოს წარმომადგენელი რუსეთში.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლად საბჭოთა რუსეთში ინიშნება დამფუძნებელი კრების წევრი გერასიმე მახარაძე. (დ. ს.)

✦ **შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდამ** აცნობა ქიათურის მუშათა მაგიდას, რომ ადგილობრივ მუშების სურსათის მხრივ დასაკმაყოფილებლად იქ გაგზავნილია საჭირო რაოდენობის ქერი და ხორბალი.

**მატარებლის მიმოსვლა.** რკინის გზის ექსპლოატაციის ტეხნიკურ განყოფილების უფროსმა გამოიმუშავა სამგზავრო მატარებლის მიმოსვლის ახალი ფასები, რომელიც უნდა შემოიღონ სექტემბრის პირველ რიცხვებიდან. წარსულ წლების მგზავსათ, № 3 და 4 მატარებელი ივლის ბათომამდე. პროექტის თანახმად მატარებელი № 3 თფილისიდან გავა დილის 9 საათზე და ბათომს მივა საღამოს 11 საათზე, მე 4 ნომერი მატარებელი ბათომიდან გამოვა დილის $6^1/_2$ საათზე თფილისს მოვა საღამოს 10 საათზე. მე-7 და 8 ნომერი მატარებელი გავა არა ბათომს, არამედ—ფოთისაკენ.

✦ **ბაზრის ფასები.** თანახმად სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობებისა, ამ ჟამად ბაზარზე შემდეგი ფასები არის. გირვანქა კარაქი 280 მან.; გადამდნარი ერბო 300 მან.; გირვანქა ყველი 120—140 მან; ათი კვერცხი—110 მან.; თეთრი პურის ფქვილი 3600 მან; ადგილობრივი ფქვილი 1800 მან; სიმინდის ფქვილი 1500 მან.; ფუთი პურის ხორბალი 1300 მან; სიმინდი 1200 მან.; ლობიო 700 მ; შაქარი 7600—8000 მ.

✦ **სავაჭრო დამოკიდებულება** საქართველოში მყოფმა გერმანიის წარმომადგენელმა გრაფმა დრიუფელმა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას წარუდგინა გერმანიის ფირმის ცნობები და სთხოვა ხელი შეუწყოს საქართველოსა და გერმანიის სავაჭრო დამოკიდებულების განვითარებას.

✦ **ბორჯომი.** (საკ. კორეს.) დღეს დილის მატარებლით ბორჯომში ჩამოვიდა აკ. ჩხენკელი, რომელიც აბასთუმანში გაემგზავრა (დ. ს.)

✦ **ფოთში წყალში ჩაუშვეს** ქუთაისის საზოგადოების დიდი ზხუნა. ამ დღეებში კიდევ ერთ ზხუნას ჩაუშვებენ „ცხენის წყალს“. (დ. ს.)

✦ **ლიტვის კონსული.** ბაქოდან დაბრუნდა ლიტვის კონსული.

✦ **ბორჯომის წყლის საზღვარ გარეთ გატანა.** მიწად-მოქმედების კონტრაგენტმა კონსტანტინოპოლში ბორჯომის წყლის განყოფილება გახსნა. ასეთივე განყოფილება იხსნება ნიუ-იორკში. განზრახულია აგრეთვე განყოფილებათა გახსნა ლონდონსა და სხ. ქალაქებში. აგვისტოს 19 კონსტანტინოპოლში 30,000 ბოთლი ბორჯომის წყალი გა- [illegible]

## სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება

(იხ. „ერთობა“ № 190)

**საქართველო**

საქართველო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თავისუფალი სახელმწიფო იყო.

ასოცი წლის უკან იგი, მტრისგან შევიწროებული, ერთმორწმუნე რუსეთს აფარებს თავს **პროტექტორატის პირობით.** მაგრამ რუსეთი არღვევს პირობას და საქართველო მთელ საუკუნეზე მეტი მონობის საშინელ ტვირთ ქვეშ იზნიქება. საერთაშორისო ომისა და რევოლუციის მიმდინარეობაში ის იხსნის თავს და აღადგენს თავია სახელმწიფოებრივ უფლებას.

საქართველო ეროვნული საბჭოს სახით 1918 წ. 26 მაისს აცხადებს დამოუკიდებლობას, რომელსაც ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ადასტურებს სრულიადსაქართველოს დამფუძნებელი კრება 1919 წ. 12 მარტს.

**დამოუკიდებლობის აქტი** აღიარებს საქართველოს პოლიტიკურ წესწყობილების ფორმად **დემოკრატიულ რესპუბლიკას,** აღიარებს აგრეთვე **საერთაშორისო ურთიერთობაში ნეიტრალიტეტს, შინაურ წყობილებაში სრულ პოლიტიკურ და მოქალაქობრივ თავისუფლებასა და თანასწორობას და ეროვნულ უმცირესობის თავისუფალ განვითარების უზრუნველყოფას.**

კონსტიტუცია საქართველოს ჯერ არ მიუღია. არის მხოლოდ შემუშავებული და გამოქვეყნებული **საქართველოს კონსტიტუციის პროექტი,** რომელიც ელის განხილვას, მიღებასა და დადასტურებას.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ხალხს. **საქართველოს პარლამენტი**—ერთ-პალატიანი საკანონმდებლო დაწესებულება—ანხორციელებს ხალხის ხელმწიფებას კონსტიტუციის ფარგლებში. პარლამენტი ირჩევა სამი წლით საყოველთაო,

[illegible]

ასაკი 20 წელია. კონსტიტუცია სქესს არ არჩევს. არის საარჩევნო ოლქები, რომლებიც პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით ირჩევენ დეპუტატებს.

დეპუტატი პასუხს არ აგებს აზრის გამოთქმისათვის მისი პიროვნება შეუვალია. გასამრჯელო ეძლევა.

დეპუტატს არ შეუძლიან რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფოს თუ ადგილობრივი მმართველობის სამსახურში. გამონაკლისი: იგი შეიძლება იყოს მთავრობის წევრი, სახელმწიფო კონტროლიორი, მინისტრის ამხანაგი ან ხმოსანი. შეუძლიან მთავრობისაგან მიიღოს რაიმე პოლიტიკური დავალება **მხოლოდ ექვსი თვით.**

პარლამენტი საზოგადოდ იშლება და იკრიბება თვითონ. იწვევს თავის პრეზიდიუმი. შეუძლია მოიწვიოს არა ჩვეულებრივ შემთხვევაში მთავრობას. იგი მოწვეულ უნდა იქნეს დეპუტატთა $^1/_4$-დის მოთხოვნით. პარლამენტის უფლება—შეიარაღებულ ძალთა გამგებლობა ომი და ზავი, ხელშეკრულობა, ამნისტია ბიუჯეტი და სხ. იგი სცემს **კანონს დეკრეტს და დადგენილებას.**

საკანონმდებლო ინიციატივა აქვს **ყოველ დეპუტატს და თვით ხალხს.** (საჭიროა 5000 ამომრჩევლის მოთხოვნა) არის არა სავალდებულო **რეფერენდუმი:** 20.000 ამომრჩეველი თუ მოითხოვს, **კანონი ხალხს გადაეცემა დასადასტურებლად.**

აკრძალულია ერთი და იგივე პირი პარლამენტის თავმჯდომარედ ან მის ამხანაგად იქნეს არჩეული ზედიზედ.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ანხორციელებს **რესპუბლიკის მთავრობა.** პარლამენტი ირჩევს პირველ მინისტრს—მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც თვითონ იწვევს მინისტრებს და ადგენს მთავრობას. შეუთავსებლობა აქაც არის. მინისტრს შეუძლიან იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ხმოსანი.

[illegible]

მას აქვს უფლება მმართველობის რევიზიისა, ბრძანებისა და განკარგულების გამოცემისა კანონის აღსრულებისათვის. მაგრამ არ შეუძლიან შეაჩეროს ან დააბრკოლოს კანონის მოქმედება.

მთავრობის საერთო უფლება-მოვალეობას შეადგენს რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, კანონის ასრულება. რესპუბლიკის უზრუნველყოფა, წარდგენა პარლამენტში კანონპროექტისა და სხ. რესპუბლიკის საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მინისტრთა შორის.

მთავრობა და კერძოდ მინისტრები აღჭურვილნი უნდა იყვნენ პარლამენტის ნდობით. როგორც მთავრობა მთლიანად ისე თვითეული მინისტრი პოლიტიკურად პასუხის მგებელია პარლამენტის წინაშე ეს **პარლამენტარული პასუხისმგებლობაა.**

მინისტრს პასუხისგებაში აძლევს პარლამენტი. ხოლო მისი გასამართლება ხდება საერთო წესით. მთავრობის თავმჯდომარედ ზედიზედ ერთისა და იმავე პირის არჩევა არ შეიძლება.

სამოსამართლო ხელისუფლებას ანხორციელებს სასამართლო არის **უმაღლესი სასამართლო სენატი და მუდმივი სასამართლოები.** სასამართლო დამოუკიდებელია. მოსამართლე გადაუყენებელია. მისი დათხოვნა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით. არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მართლმსაჯულება სწარმოებს **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.**

საბიუჯეტო უფლება პარლამენტის ხელშია, არსებობს **სახელმწიფო კონტროლი.** სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი, რომლის წინაშე პასუხისმგებელია. კონტროლიორი მინისტრის უფლებით არის აღჭურვილი, მაგრამ მინისტრთა კაბინეთში არ შედის. სამხედრო ბეგარა საყოველთაო და სავალდებულოა **ჯარის დანიშნულებაა რესპუბლიკის დაცვა.**

[illegible] უძლევა ერთი მხრით მართვა გამგეობას და მეორე მხრით სამეურნეო და კულტურულ საზოგადოებრივ საქმეებს. **შეერთებულია მომენტი მმართველობისა და თვითმართველობისა.** არჩევნები უაღრესად დემოკრატიულია. მმართველობა სცემს სავალდებულო დადგენილებას, რომელიც შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით. მართვა გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს. აქვს საბიუჯეტო ავტონომია.

საკმაო ვრცლად განმარტებულია სახელმწიფო მოხელეთა კონსტიტუციური უფლება და მოვალეობა. მოხელე უზრუნველყოფილია თვითნებობისაგან. მაგრამ სახელმწიფო და მოქალაქეც უზრუნველყოფილია მოხელის უკანონო მოქმედებისა და თვითნებობისაგან.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი არიან. სარწმუნოებრივი უპირატესობა არ არსებობს.

კონსტიტუცია აღნიშნავს მოქალაქეობის მოპოებისა და დაკარგვის მთავარ დებულებებს. ნატურალიზაციისთვის მიღებულია საერთოდ ოთხი წლის ვადა. რესპუბლიკის წინაშე უცხოელის თვალსაჩინო ღვაწლმოსილებას შეუძლია გაანთავისუფლოს იგი ამ ვადის მოთხოვნილებიდან. ორი მოქალაქეობა აკრძალულია.

მოქალაქის უფლებანი და მათი უზრუნველყოფა სავსებით არის გამოსახული კონსტიტუციაში. აღიარებულია თანასწორობა. ორდენი არავის მიენიჭება ხარისხის მინიჭება შეიძლება თანამდებობის და პროფესიის აღსანიშნავად. აკადემიურ ხარისხს ეს არ ეხება. უცხო სახელმწიფოდან წარჩინების ნიშნის მიღება აკრძალულია.

არის პიროვნების სრული თავისუფლება და ხელუხლებლობა. გამონაკლისი: დანაშაულის ადგილზე მისწრება. გასამართლება საერთო სამოსამართლო წესითაა.. ბინა შეუვალია. ხელშეუხებელი დ უზრუნ-

[illegible]

კავშირის, პეტიციის, გაფიცვის, და პროფესიის უფლება თავისუფლება.

ორივე სქესის მოქალაქე პოლიტიკურ, სამოქალაქო, ეკონომიურ და სოჯახო უფლებით თანასწორია ქორწინება ემყარება თანასწორობას და ნებაყოფლობას. ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილნი თანასწორნი არიან. დედას შეუძლიან ეძიოს მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა, ისე როგორც ქორწინების გარეშე შობილს შეუძლიან ეძიოს მამა თვისი.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. უცხოელთა უფლება დაცულია. აკრძალულია უცხოეთს გადაეცეს პოლიტიკური დამნაშავე.

ამბოხების ან ომის დროს შესაძლებელია ზოგიერთ უფლებათა გარანტიის შეჩერება პარლამენტის და, ზოგიერთ უკიდურეს შემთხვევაში, მთავრობის მიერ (პარლამენტის დაუყონებლივ მოწვევის და დასტურის მიღების პირობით).

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულო. ულარიბეს ბავშვებს მიეცემათ უფასოდ საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები. სწავლა საერთოა. სახელმწიფო მფარველობს ხელოვნებას. მეცნიერება თავისუფალია.

საქართველოს კონსტიტუციაში ვრცელი ადგილი უკავია **სოციალურ-ეკონომიურ უფლებათა აღიარებას,** რაც დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს მას. რესპუბლიკა ზრუნავს მოქალაქეთა ღირსეულ არსებობისათვის. დაქირავებული შრომა განსაკუთრებულ საზრუნავ საგანს წარმოადგენს. აღიარებულია სახელმწიფო დაზღვევა, 8 საათის სამუშაო დღე (გამონაკლისი ენდობა კანონს), ქალის და ბავშის შრომის მფარველობა და სხ. დიდ როლს აკისრებს კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობას სო-

ციის ის თავი, რომელიც ეხება **ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფას.**

ეროვნულ უმცირესობის განვითარება თავისუფალია მას აქვს უფლება **კულტურულ საქმეთა გასაძღოლად დააარსოს ეროვნული კავშირი,** რომელსაც აგრეთვე შეუძლიან მისცეს სასამართლოში შელახულ ეროვნულ უფლებათა აღსადგენად და დასაფარავად. სწავლის საქმისთვის თანხა მიეცემათ ეროვნულ უმცირესობებს მცხოვრებთა შემადგენლობის პროპორციის მიხედვით. ეს არის პროპორციული ბიუჯეტი. ეროვნულ უმცირესობას შეუძლიან სახელმწიფო ენასთან ერთად თავის დედა ენაზედაც აწარმოოს ყოველგვარი საქმიანობა სახელმწიფო დაწესებულებებში. აგრეთვე სახელმწიფო ენის არ მცოდნე არაქართველ დეპუტატს შეუძლიან სიტყვა წარმოსთქვას პარლამენტში დედა ენით.

აქვე უნდა ითქვას, რომ კონსტიტუცია ანიჭებს **ავტონომიურ მმართველობას რესპუბლიკის სამს განუყოფელ ნაწილს: სამუსლიმანო საქართველოს, აფხაზეთსა და ზაქათალას.**

კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა. სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია. არის აღიარებული ნეიტრალობა და პოლიტიკური წყობილების—დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმის მუდმივობა და **უცვლელობა.** ამას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა თანამედროვე ურთიერთობის და მომავლის თვალსაზრისით.

ნეიტრალობასთან ერთად აღიარებულია საერთაშორისო ურთიერთობაში არბიტრაჟი და თავისუფალ ერთა ლიგა. კონსტიტუციაში სჩანს აშკარა დემოკრატიულ მშვიდობის მყოფელი მიდრეკილება.

რაც შეეხება კონსტიტუციის გადასინჯვას, ამ საკითხში ინიციატივ ს უფ-

რადგანაც მეორეთაა მოწვეული რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს კანონიერათ ჩაითვლება.

# „წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

**ნავთის სიმცირე მაზრებში.** სამაზრო საადგილმამულო კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობაზე ყველა დელეგატებმა ერთხმათ აღნიშნეს, რომ ყველა მაზრაში ნავთის და მაზუთის დიდი სიმცირეა. ასე—მაგალ., ზაქათალის მაზრაში გირვანქა ნავთი ღირს 150 მან. („კომუნისტი" № 76).

**გაფუჭებული წისქვილები.** სალიანის მაზრაში 100 წისქვილიდან 60 გაფუჭებულია და არ მუშაობს. („კომუნისტი" № 76).

**„მოგზაური სოფლის მწერლები".** შემახის მაზრაში თითქმის არ არიან წერა-კითხვის მცოდნენი. ამის გამო განზრახულია მთელ მაზრისთვის მოიწვიონ რამდენიმე სოფელზე თითო მწერალი, რომელნიც ერთი სოფლიდან მეორეში ივლიან პერიოდიულათ და ხან ერთ ალაგას იმუშავებენ ხან მეორე ალაგას. („კომუნისტი" № 76).

**ყაჩაღთა და „კონტრ-რევოლიუციონერთა" თარეში განჯის მაზრაში.** სასოფლო კომიტეტები ვერ მოაწყვეს განჯის მაზრის იმ რაიონში, რომელიც დაპყრობილი აქვთ ყაჩაღებს და „კონტრრევოლიუციონერებს". („კომ." № 76).

**მოსავალი.** პურის მოსავალი წელს საშუალოა მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში. ყაზახის მაზრაში პურეულის მოყვანას ხელი შეუშალა ფრონტებმა. აქ ყანა მოიკეს ტყვეებისა და ლტოლვილების საშუალებით. მაზრას თავისი პური ეყოფა მხოლოდ 6—7 თვეს. განჯის მაზრაში დიდძალი ხორბალი ავდრებმა გააფუჭა. აღდაშის მაზრაში ბრინჯის ყანა მინდვრის თაგვებმა და ავადმყოფობამ გააფუჭა. ნუხის მაზრაში მოსავალი ცუდია. ახალ მოსავლამდე მცხოვრებთ პური არ ეყოფა. ზაქათალის მაზრაში ცუდი მოსავალი იყო. პური მცხოვრებთ ახალ მოსავლამდე არ ეყოფა. ტაუზის მაზრაში პურის მოსავალი წელს ცუდია. შემახის მაზრის მთაგორიან ნაწილში მოსავალი გააფუჭეს მინდვრის თაგვებმა და სეტყვამ. მცხოვრებთათვის საკმაო [illegible] ქია, რომელიც ხელს უშლის საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას. („კომ." № 76).

**ხილის მოსავალი ლპება.** ზაქათალის მხარის ბელაქახის რაიონში ხილის კარგი მოსავალი ყოფილა წელს, მაგრამ ხილი ბაღებშივე ლპება, რადგან გადასაზიდ საშუალებათა უქონლობის გამო ბაზარზე ვერ გაქვთ. („კომ." № 76).

**ყაჩაღების შიშის ქვეშ.** ლენქორანის მაზრის მთაგორიან ნაწილს ყაჩაღები თავზარს სცემენ („კომ." № 76).

**მოლების აგიტაცია.** ყაზახის მაზრაში საბჭოთა ორგანიზაციებს ხელს უშლის მოლების აგიტაცია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ („კომ." № 76).

**ჩარჩების ბატონობა სასოფლო კომიტეტებში.** უკანასკნელ დრომდე მთელ ნუხის მაზრის სასოფლო კომიტეტებში სოფლის ჩარჩები იყვნენ გაბატონებულნი („კომ." № 75.)

**შრომის კვირა ნავთსადგენზე.** ნავთსადგენის შესაკეთებლად იმართება შრომის კვირა.

**სახარატო იარაღების რეგისტრაცია.** გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც 3 დღის განმავლობაში ხარატებმა უნდა მიაწოდონ სპეციალურ ინჟენერთა კომისიას ცნობები სახარატო სახელოსნოების და იარაღების შესახებ. („კომ." № 76).

**რკინის გზებზე უბილეთო მგზავრობის წინააღმდეგ.** აზერბეიჯანის რკ. გზების უფროსმა განკარგულება გასცა მკაცრი ზომები მიიღონ ვაგონების საფეხურებზე მგზავრობის წინააღმდეგ. (კომ. № 77).

**არტისტების სუბოტნიკი.** 29 ივლისს „პოლიტოტდელ"-მა გამართა არტისტების „სუბოტნიკი" კუნძულ ზიხ-ზე მათ გემიდან გადმოტვირთვეს 1200 ფუთი „ქშიხა". („კომ." № 77).

**ბამბის რეგისტრაცია.** გამოვიდა ბრძანება, რომ სოვნარხოზს 3 დღეში უნდა აუწყონ, თუ ვის რამდენი, რა ხარისხის და სად მოეპოვება ბამბა. (კომ. № 77)

**დეზერტირი—უფროსი სამხედრო ექიმი.** „ცენტრო-კომ-დეზერტირი" დაეძებს ბრიგადის უფროსს სამხედრო ექიმს ნიკოლოზ ვასილის ძე ზახაროვს. („კომ". № 77)

**ყველა სახლების ნაციონალიზაცია.** აზრევკომი ამ ჟამად იხილავს დროებით კანონს ბინის ქირების მომატების შესახებ. ამ კანონს დროებითი ძალა ექნე- [illegible]

**სპარსელთა ქონების რეკვიზიციის შეჩერება.** აზრევკომის თავმჯდომარის განკარგულებით შეაჩერეს სპარსეთის ქვეშევრდომთა ქონების რეკვიზიცია. („კომ." № 75).

# ქართველები ჩრდილო-კავკასიაში

აგვისტოს 5 მოხდა ჩრდილო-კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენელების კონფერენცია. დაესწრო შემდეგი ქალაქების ქართველ მოსახლეობის წარმომადგენლები: სოჭის, ტუაპსის, ნოვოროსიისკის, ეკატერინოდარის, რომანოვის ხუტორის, სტავროპოლის, მაიკოპის, არმავირის და ლაბინსკაიასი. კონფერენცია არმავირში მოიწვიეს. ამ კონფერენციაზე აირჩიეს დელეგატი, რომელსაც დაევალა აცნობოს რესპუბლიკის მთავრობას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში. ამავე დროს კონფერენცია შუამდგომლობს ჩრდილოეთ კავკასიისათვის რესპუბლიკის ელჩის დანიშვნის და ქართველების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა მთავრობა ანგარიშს არ უწევს რუსეთსა და საქართველოს შორის შეთანხმებას. ქართველი მოქალაქეები ბოლშევიკებისაგან შევიწროებას განიცდიან. რუს მოქალაქეებთან ერთად. მათ არ ანთავისუფლებენ სხვა და სხვა ვალდებულებათაგან, ქართველების მობილიზაციით გამოწვევის წინააღმდეგ გამოცხადებული პროტესტი უშედეგოდ რჩება. ქართველებს მობილიზაციით იწვევენ იმ გვარივე წესით, როგორც სომხებს და ლიტველებს. უცხოეთის ქვეშევრდომთა დასაცავათ ეწყობოდა კონსულთა საბჭო, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ იგი დახურა. სულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 20 ათასი ქართველი. დანარჩენ 5 000 ქართველ მცხოვრებთა წარმომადგენელს არ ქონდათ საშვალება დასწრებოდნენ კონფერენციას სხვა და სხვა მიზეზების გამო. ჩრდილოეთ კავკასიიდან, და კერძოდ, ყუბანიდან კონფერენციაზე დასწრება ძალიან გაძნელებული იყო. ქართველებს საზღვრებზე კვირაობით აკავებდნენ. ეკატერინოდარის ჩრეზვიჩაიკას არც კავკავის ჩრეზვიჩაიკა ჩამორჩება. ჩრდილოკავკასიიდან 20.000 მან. მეტის წამოღე- [illegible]

[illegible] ბით სა-% ხარჯიც იკრიფება, ეს თანხა შედის სახელმწიფოს სალაროში და ხმარდება სავეტერინარო საქმეს.

სავეტერინარო საქმეც საზრდოებს სამრეწველო საკლავ საქონლიდან სა-% ფულის აკრეფილ თანხით, ამ ოპერაციის თვით ექიმი ვეტერინარები აწარმოებენ. რუსეთის ძველი კანონით იმ ვეტერინარ ექიმებს, რომელნიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში და დაკისრებულილი აქვთ სა-% ფულის აკრეფა, გასამრჯელოდ აკრეფილ თანხიდან უბრუნდებათ 10%.

ზოგიერთ ვეტერინარ—ექიმებს ერობაში გადასვლის შემდეგ ემჩნევათ სა-% ფულის აკრეფაში სისუსტე და არის შემთხვევაც ამ ოპერაციის სრულიად უარყოფისა. თვითნებობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია თვით სა-% ფულის აკრეფის ტეხნიკას ჰქონდეს ნაკლი, მაგრამ მე აქ არ შევეხები, თუ ვინ უნდა აწარმოებდეს სა-% ფულის აკრეფას და საერთოდ რა ნაკლი აქვს მის აკრეფის ტეხნიკას, მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს ნაკლი აშკარაა. იმ ძველი კანონის პარაგრაფი, რომელიც ერობის ვეტერინარ ექიმებს აკუთვნებს მათ მიერ აკრეფილ სა-% ფულის თანხიდან 10-%, უნდა შეიცვალოს და ეს % მიეცეს ერობებს და არა უკანასკნელთა დაქირავებულ მოხელეებს. ამ კანონის პარაგრაფის შეცვლა დიდ სარგებლობას მოუტანს ერობებს, როგორც ფინანსიური მხრით, აგრეთვე სანიტარული ზედამხედველობის მხრივაც, რაც ყურადღების ღირსია.

ფერშალი-ვეტერინარი **ნ. სხულუხია.**

# მუშათა სახლი ფოთში

ამ თვის დასაწყისში ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშებმა ჩაუყარეს საძირკველი თავიანთ სახლს.

ისეთი მნიშვნელოვანია ეს ამბავი, რომ საჭიროა იწერებოდეს მის შესახებ, რაც შეიძლება მეტი.

და სწორედ ეს მისი უდიდესი ღირებულება ჰქონდათ გათვალისწინებული მთავრობას და ყველა პოლიტიკურ მოღვაწეთ, რომელნიც ასეთის თანაგრძნობით შეხვდნენ ამ საქმეს.

ფოთის მუშებს სურდათ საერთო მუშა- [illegible] შებმა დაიწყეს—ჩვენ როდის მივაძავთ?".

პირველი მუშათა სახლი საქართველოში შენდება მუშათა ხელებით, მუშათა ხარჯით. ფოთის მუშებს არავისთვის მიუმართავთ მოწყალებისათვის მით უმეტეს, ჩვენი მოვალეობა, მთელი საქართველოს კეთილ-შობილ საქმეს ძმურად გავუწოდოთ ხელი.

ხ. ფ—ი.

# „ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების წარმოება"

(პასუხად ილ. თათიაშვილს).

„ახალ კომუნისტში" მოთავსებულია ილ. თათიაშვილის კორესპონდენცია:— „ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროების წარმოება".

პირველი სტრიქონის წაკითხვისთანავე თვალებში გეცემათ ავტორის სრული უცოდინარობა მაღაროებში არსებული პირობებისა საერთოდ მუშათა მდგომარეობის კერძოდ, რასაც ემატება კორესპოდენციის ავტორის მიერ სიტყვათა და სახელწოდებათა მნიშვნელობის ერთმანეთში არევა.

ის სწერს: **მუშები შეუპყრია ადმინისტრატიულ შიშს** (ხაზი ჩვენი). რას გულისხმობს ავტორი ადმინისტრატიული შიშის ქვეშ? ადგილობრივ მილიციის უფროსს, მაღაროებში საპასუხისმგებლო ტეხნიკურ ნაწილების გამგე ინჟენრებს და სპეციალისტებს, თუ არტელის რწმუნებულებს,—ალაჰმა უწყის!..ან ვინ არიან ის „თავხედები და დესპოტები", რომლების შიშითაც მუშებს კრინტი ვერ დაუძრავს დათხოვნის შიშით?

არ ყოფილა მაგალით. რომ მუშას ვინმეს შიშით ვერ გაებედოს და არ ეთქვას თავის პირ-ვარამზე ერთ წელიწად ნახევარში. პირიქით, ტყიბულის მაღაროების მუშები ყოველ კრებაზე აშკარად და უშიშრად გამოსთქვამენ თავიანთ აზრს საჭირბოროტო კითხვებზე და ამისათვის არც ერთი მაგალითი არ ყოფილა არამც თუ ალაგიდან დათხოვნისა, საყვედურისაც კი, და არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან მუშების დათხოვა ხდება მუშათა კავშირის თანხმობით და დასტურით,

„მუშათა რიცხვზე ბევრად ნაკლები არ იქნება მოსამსახურეები სამთო ინჟენრიდან დაწყებული, უკიდურეს მე- [illegible]

[illegible] გამოქვითვას გაზეთების სასარგებლოთ ტყიბულის მუშათა შორის ალაგი არ ჰქონია. იყო შემთხვევები, როდესაც № 2 არტელის მუშებმა თავიანთი სურვილით გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" სასარგებლოდ გადასდეს არტელური მუშაობიდან ზედმეტათ გადარჩენილი კაპეიკები.

პურის ბუტკასთან მუშების „კუდში" დგომის შესახებ მოგახსენებთ, რომ სადაც წარმოებაში დაბანდებულია 1,390 კაცი, იქ შეუძლებელია „კუდში" დაუდგომლათ პურის მიღება, ვინაიდან არტელი მუშა-მოსამსახურეთა ერთ და იმავე დროს იღებს მუშაობაზე ხელს და ათი ბუტკაც რომ გახსნათ, „კუდს" მაინც ვერ მოშლით. და თუ თათიაშვილებს არ მოსწონთ „კუდში" დგომა, შეუძლიათ მიბრძანდნენ პეტროგრადში გინდა მოსკოვში, სადაც „კუდში" დგომითაც დარწმუნებული ვართ, სიმშილით სული ამოხდებათ.

ვინ არის ბატონო თათიაშვილო ადმინისტრატიული კავშირი, რომელსაც თქვენ უსაყვედურებთ მუშათა ინტერესების უყურადღებობას? ადმინისტრატიული კავშირის რა მოგახსენოთ და ტყიბულის მაღაროებში არსებობს მუშამოსამსახურეთა კავშირი, რომელიც ერთ საუკეთესო ორგანიზაციათ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც საუკეთესო დამცველი მუშათა კლასიური ინტერესებისა, ისე რომ, ამისათვის არ მოუტანია მსხვერპლად მთელი რესპუბლიკის ინტერესები, შეათანხმა რა მუშებისა და რესპუბლიკის ინტერესები ერთმანეთს, რის წყალობითაც თქვენი და თქვენი ამხანაგების მიერ დანგრეული წარმოება (გაფიცვა 1 1/2 წლის წინად თქვენ მიერ მოწყობილი და სამარცხვინოთ დამთავრებული) ფეხზედ დააყენა და მუშაობას მაღაროებში ნორმალური კალაპოტი უჩვენა, რის მეოხებითაც ტყიბულის მაღაროების წარმოება ითვლება ერთ თვალსაჩინო დარგათ მთელ საქართველოში და მის ნაყოფიერ და ნორმალურ განვითარებაზე რის დამოკიდებული ბევრი რამ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ აღორძინების საქმეში.

შეიძლება გაიხსენო ბ. თათიაშვილო, მუშათა კავშირის მოღვაწეობიდან ცო- [illegible]

[illegible] ნებლების სასარგებლოთ ტარდება"-ო,—გვაუწყებს ბ-ნი თათიაშვილი.

ერთი გვიბრძანეთ,—ვინ არიან ეს ბრძანებლები, რომლების სასარგებლოდ ტარდება კრებებზე დადგენილება—რეზოლიუციები? გადაჭრით ვამბობთ, არაფერს ამის მსგავს მაღაროებში ალაგი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, ვინაიდან მაღაროები არის რესპუბლიკის კუთვნილება (რკინის გზის უწყების გამგებლობაში) და „მბრძანებლები" არიან არა თათიაშვილის ფანტაზიით შექმნილი პირები, არამედ—ინტერესები მთელი რესპუბლიკისა და მუშათა კლასის მომავალისა, რომელთაც მხოლოდ დღეისთვის არ უნდათ წარმოება, არამედ—მომავლისათვისაც, და თუ ტყიბულის მაღაროების მუშები რესპუბლიკის ინტერესებს მაღლა აყენებენ, როდესაც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ თავიანთ ინტერესებზედ, ცხადია, ამით ხელს უწყობენ მათ მიერ მოწონებულ რესპუბლიკანურ წეს-წყობილებას, რომელიც სრული სისწორით გამოხატავს მათ დღევანდელ მისწრაფება-სურვილებს.

თქვენ კი, ბ. თათიაშვილო, გინდოდათ წინააღმდეგი მომხდარიყო, თქვენი ცარიელი დაპირებანი მუშებს ხალხს ჭეშმარიტებათ მიეღოთ, არ გაეწიათ არავითარი ანგარიში რესპუბლიკის დღევანდელი ფინანსიური მდგომარეობისათვის და თავიანთი ბრძოლით მოპოვებული წეს-წყობილებისათვის განუხორციელებელი მოთხოვნილებათა წარდგენით ძირი გამოეთხარათ და წარმოება გაენადგურებია,—სიმშილისა და სიპინძურის წეს-წყობილება გადმოეღო საბჭოთა რუსეთიდან, მაგრამ თქვენდა სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა და სრული იმედია შემდეგშიაც არ მოხდება.

თქვენი „კომუნა" კომუნისტური წყობილება" თქვენ თვით გახადეთ ქართველ მუშათა კლასისათვის სეფრთხობელათ და დამნაშავეს სხვაგან რათ ეძებთ? თქვენ ბრძანებთ:

„მუშებს უნდოდათ მათგან გამოქვეთული ფული კომუნისტურ გაზეთებიც რგებოდა, მაგრამ ჯერ ვერ ბედავენო". გადაჭრით ვაცხადებთ არავითარ ფულის [illegible]

[illegible] ტყიბულში? ვინ გაფარებთ პირზე ხელს? არავინ! გარწმუნებთ ბ. თათიაშვილო, რომ თქვენ სრული თავისუფლება გაქვთ იყბედოთ რამდენიც გინდათ, მხოლოდ არ გადასცდეთ საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგს, დაანებეთ თავი პროვოკაციას, თორემ სანამ „მბრძანებლები" გაგირისხდებოდენ, თვით მუშები მოგინახავენ ისეთ ალაგს, სადაც ამდენხანსაც უნდა ყოფილიყავით, თუ არ მუშათა კავშირის სულგრძელობა და თავის გამოდება თქვენთვის...

სარკე.

# რკინის გზაზე.

სად. სადახლო.

14 ივლისს მთავრობის განკარგულებით გამოგზავნილი იყო სახალხო გვარდიელთა რაზმი სანაპირო ნაწილის გასაძლიერებლად.

ერთი კვირის მუშაობის შემდეგ გამოჩნდა, რომ გვარდიელები პირნათლად ასრულებენ ნაკისრ მოვალეობას. ბევრს არ მოეწონა ეს; თქვენ უნდა დაიჭიროთ ხალხი ნივთებით და ჯიბეები გაივსოთ, ხოლო ჩვენ კი ტყუილად გვამუშაოთო—ამბობდნენ.

აქ მუდმივ აქვს ადგილი უსაზღვრო ქეიფობას მთელი ღამეობით დაულურით არ ვიცით კი, რომელი თანხიდან. არის ბევრი სხვა უწესოებაც: მატარებლის მოსვლის დროს სადგურზედ სტოვებენ მოსპეკულიანტე ქალებს, რომელთაც ნებართვა არა აქვთ, და იმის მაგიერ, რომ კანონიერად დასაჯონ, ათას გვარ ცარყენილებას აქვს ადგილი. ჩვენ მივუთითებთ ვისაც ჯერ არს მიაქციოს ამას ყურადღება.

სანაპირო რაზმის ნაწილთან გვარდიელების მოქმედება გრძელდებოდა დღემდე ფრიად ნაყოფიერათ კონტრაბანდების დაჭერის საქმეში. ხოლო ბოლო დროს იკლო მისმა გატანამ. გვარდიელებმა ყველა ჯვარედინი გზები შეჰკრეს. მოკლე დროს შემდეგ— გამოირკვა, რომ მრავლად მიდის როგორც ხორბალი, ისე ქერი პირდაპირ სადახლოს სადგურით სახალხო მატარებელზედ. ამას მალე მიაქცია ყურადღე-

---

ლება აქვს პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა და ხალხს (50.000 ამომრჩევლის მოთხოვნა) გადაშინჯვის წინადადება მიღებულ უნდა იქნას პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. ხოლო ძალაში შევა იგი **მხოლოდ ხალხის უმრავლესობის დადასტურების შემდეგ.** მაშასადამე აქ, **საკონსტიტუციო საკითხებში მიღებულია სავალდებულო რეფერენდუმი.**

თავის თავად ცხადია, დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმა, როგორც მუდმივი და უცვლელი, არ შეიძლება გახდეს გადასინჯვის საგნად.

ამგვარია ჩვენი კონსტიტუცია.

როგორც ხედავთ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური წეს-წყობილება —დემოკრატიული რესპუბლიკა-კონსტიტუციის პროექტით—არა ჰგავს ხელმწიფება განაწევრებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც სხვა და სხვა ხელისუფლება სრულიად დამოუკიდებელია ერთიერთმანეთისაგან.

იგი არ არის პარლამენტარული დემოკრატია. მართალია პარლამენტარიზმი გვაქვს, მაგრამ მასთან ერთად გვაქვს თვითმართველობის ფართო ავტონომია, რეფერენდიუმი და ინიციატივა.

არ არის არც პირდაპირი, არც შვეიცარიული დემოკრატია: მართალია, გვაქვს თვითმართველობა ფართო უფლებებით, გვაქვს რეფერენდუმი და ინიციატივა, მაგრამ ამავე დროს გვაქვს პარლამენტარიზმი პრეზიდენტი, როგორც ცალკე მდგომი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ჩვენმა კონსტიტუციამ არ იცის. პრეზიდენტი, როგორც მთავრობის თავმჯდომარე და ამავე დროს მთელი რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

ასეთია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დედა-აზრი.

**ბრაზილია.**

1891 წ. კონსტიტუცია მოქმედებს დღეს ბრაზილიაში, რომელიც ფედერალური რესპუბლიკაა **წარმომადგენლობითი წყობილებით.** ბრაზილიის შტატები საუკუნო და განუყრელი უნიით არიან შეერთებულნი. ფედერალური მთავრობა შტატების შინაურ ცხოვრებაში არ ერევა, გარდა კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებისა- ასეთი შემთხვევაა, სხვათა შორის, დაცვა შტატის რესპუბლიკანურ-ფედერატიული მართვა-გამგეობის ფორმის.

ხელისუფლებათა განაწევრებაზეა აშენებული კონსტიტუცია. ყველა ხელისუფლება—საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო,—დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ისინი ნაციონალური სუვერენიტეტის ორგანოებია:

კანონმდებელია **ნაციონალური კონგრესი პრეზიდენტის სანქციის უფლებით.** კონგრესს შეადგენენ დეპუტატთა პალატა და სენატი. ის იკრიბება თვითონ თავის გადაწყვეტილებისამებრ. კონგრესი სამწლიანია, კონგრესის წევრი უპასუხისმგებლოა სიტყვისათვის, შეუვალია. ღებულობს გასამრჯელოს და საგზაოს.

აღმასრულებელ ხელისუფლებისაგან კონგრესის წევრი ვერ მიიღებს რაიმე დავალებას ან ჯამაგირიან ადგილს. გამონაკლისია: დიპლომატიური მისია, მთავარსარდალი და სხ. შეუთავსებლობა სრულია. ომის დროს ამას არა აქვს ძალა. კონგრესის წევრი ვერ იქნება ბანკის გამგე ან მონაწილე ისეთი კომერციულ-ეკონომიურ დაწესებულებისა, რომელსაც მფარველობს მთავრობა.

პალატაში ხალხის წარმომადგენლობა, არჩეული პირდაპირი კენჭისყრით. უმცირესობა წარმოდგენილია. ერთი დეპუტატია 70.000 მცხოვრებზე. პალატას განსაკუთრებული ინიციატივა აქვს შესახებ ჯარის და გადასახადების კანონპროექტებისა.

თვითეული შტატი ირჩევს სენატში სამს სენატორს. ირჩევიან 9 წლით. ახლდება სამესამედოდ ყოველ 3 წელიწადში. სენატი ასამართლებს პრეზიდენტს და ყველა დიდ მოხელეს.

კონგრესს ეხება: ფედერალური ბიუჯეტი, სესხი, ომი და ზავი, ჯარის ორგანიზაცია, ხელშეკრულებათა დადება, სასამართლოს მოწყობა, ამნისტია და სხ. ხელს უწყობს იმიგრაციას. საერთაშორისო ურთიერთობაში **ცდილობს სამედიატორო სამართლით და მისი გადაწყვეტილებით იხელმძღვანელოს.**

ინიციატივა აქვს კონგრესის ყოველ წევრს. მიღებულ კანონის დროებით შეჩერება შეუძლიან პრეზიდენტს. მეორედ მიღებული კანონი ძალაში შედის. თუ პრეზიდენტმა არ გამოაქვეყნა კანონი, მას აქვეყნებს სენატის თავმჯდომარე.

ბრაზილიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ეკუთვნის აღმასრულებელი ხელისუფლება. პრეზიდენტს ირჩევს პირდაპირ ხალხი 4 წლის ვადით. ზედიზედ პრეზიდენტად ერთი და იგივე პირი აღარ აირჩევა. პრეზიდენტი ფიცს სდებს კონსტიტუციის ერთგულებაზედ.

პრეზიდენტის მოვალეობაა: კანონის დადასტურება და გამოქვეყნება, მინისტრთა დანიშვნა და დათხოვა, ჯარის ბრძანება. შეწყალება და სხვ.

**მინისტრები პრეზიდენტის თანაშემწენია, მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი.** შეუთავსებლობაა. მინისტრი პარლამენტის სხდომაზე ვერ გამოცხადდება. მონაწილეობს კომისიებში. წერილობითი ურთიერთობაა.

პრეზიდენტს პასუხისგებაში აძლევს პალატა. მას ასამართლებს დანაშაულის მიხედვით ან უმაღლესი ფედერალური სასამართლო, ან სენატი.

პრეზიდენტს დანაშაულად ეთვლება: ფედერაციის კონსტიტუციის შელახვა, მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვა, ადმინისტრაციის მოსყიდვა, სახელმწიფო თანხების მთლიანობის დარღვევა და სხ.

უმაღლესი ფედერალური სასამართლოს წევრებს (რიცხვით თხუთმეტს) ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობით.

შემადგენელ შტატებს აქვთ ავტონომიური წყობილება, საკუთარი პარლამენტი და კონსტიტუცია. შტატების ხელშია თვითმართველობა, რომელიც დიდათ განვითარებული არ არის.

კონსტიტუციაში უფლებათა დეკლარაციაა. პიროვნების თავისუფლება და უფლებანი უზრუნველყოფილია. პრივილეგია მოსპობილია. სარწმუნოება თავისუფალია. ეკლესია და სახელმწიფო განცალკევებულნი არიან. სწავლა საეროა. ქორწინება სამოქალაქოა. მისი სარწმუნოებრივი კურთხევა ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული. თავისუფლებაა ბეჭდვის, წერის, სიტყვის, კრების, კავშირის, პროფესიის. Naleascorpus"-ია. საინტერესოა: აკრძალულია ანონიმური წერა.

ხანდახან, განსაცდელის დროს დროებით ჩერდება საკონსტიტუციო გარანტიათა მოქმედება. კონსტიტუცია აღიარებს, რომ ბრაზილიის რესპუბლიკა დაპყრობის მიზნით ომს არასოდეს არ აწარმოებს არსებობს საანგარიშო პალატა.

კონსტიტუციის გადაშინჯვის ინიციატივა აქვს ნაციონალურ კონგრესს ან შტატების საკანონმდებლო კრებებს. გადაშინჯვის წინადადება, შეტანილი რომელიმე პალატის წევრთა მეოთხედის მიერ, სამჯერ უნდა იქნეს განხილული და მიღებული ორივე პალატის წევრთა ორიმესამედის უმრავლესობით. ან გადაშინჯვის წინადადება, აღძრული შტატების ორ-მესამედის მიერ, მიღებულ უნდა იქნეს ყოველი შტატის პარლამენტის აბსოლუტური უმრავლესობით.

ამ გვარათ წამოყენებული და განხილული წინადადება გადაშინჯვისა მიღებულად ჩაითვლება, თუ შემდეგ წელიწადში სამგზით განხილვის შემდეგ კონგრესის ორივე პალატის წევრთა ორიმესამედის უმრავლესობით იქნება მიღებული.

ბრაზილიის კონსტიტუცია თავის იურიდიული კონსტიტუციით და დამუშავებით ერთი საუკეთესო და სამაგალითო კონსტიტუციათაგანია.

**ნ. საქარელი.**

ბა ნეიტ. ზონის ჯარის ნაწილებმა და გვარდიელებმა, რასაც შედეგათ მოყვა ზოგიერთი მოხელეების გაწიწმატება, განსაკუთრებით გვარდიელების ჩარევის გამო.

აქვე გვინდა მივაქციოთ რკინის გზის ადმინისტრაციის ყურადღება იმ გარემოებას, რომ დაწყებული სადგ. სადახლოდან სანაინამდე რკინის გზის ლიანდაგის ზოგიერთი მოსამსახურენი ბოროტად ხმარობენ მთავრობიდან მიცემული პურის გატანის ნებართვას და აძლევენ კერძო პირებს. რომ ეს სინამდვილეა, ჩვენს ხელთ არის ცოცხალი ფაქტები და დოკუმენტები. ამ ნებართვებით ეწევიან სპეკულიაციას.

მეთვალყურენი.

**ახალსენაკი.** 8 აგვისტოს, დილის 8 საათზე, № 53 მატარებლით მე და ჩემს ამხანაგს მოგვიხდა გამგზავრება სენაკიდან ქალადიდს. გავიარეთ სად. ქვალონი, მიღწიეთ ქალადიდს, მაგრამ ბილეთი არავის მოუთხოვია. იმავე დღის საღამოს 5 საათის მატარებლით (მგონი № 54) ისევ დავბრუნდი სენაკში. აქაც სადგ. ქვალონი ისე გამოვიარეთ რომ ბილეთი არავის მოუთხოვია. მხოლოდ გამოგვართვეს ქვალონის შემდეგ.

როდემდის უნდა გაგრძელდეს თავის მოვალეობის ასე აბუჩად აგდება?!

ი. ხუხუა.

## დიდუბე

**მეტი ყურადღება.**

ამ ბოლო ხანებში ხშირად შეხვდებით გაზეთების ფურცლებზე ექიმების რჩევა-დარიგებას სისუფთავის დაცვის შესახებ, ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ეს დღეს მთავარი კითხვაა, რომელსაც მუშათა კლასის მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს.

ხოლერა და ყოველგვარი სენი იქ პოულობს საბუდარს, სადაც ანტისანიტარული მდგომარეობაა.

ამიტომ არ კმარა მარტო მშრალი რჩევა-დარიგებანი სიტყვით და ქაღალდზე, არამედ—საჭიროა სასტიკი ზომების მიღება, ვისგანაც ჯერ არს, რჩევა დარიგებასთან ერთად, და თუ ეს მთავარი კითხვა უყურადღებოთაა მიტოვებული ზოგიერთ ადგილებში, ეს დაუდევრობათ უნდა ჩაეთვალოს მათ, ვის გამგებლობაშიც შედის ეს დარგი. ამ მხრით მდგომარეობა აუტანელია დიდუბეში.

ეზოები თვეში ვგონებ ერთხელ იგვება, ისიც სანახევროდ. ამ ხნის განმავლობაში ეზო დაფარულია სხვადასხვა ხილის ნაფლეთებით და ათასგვარი ჭუჭყით, სანაგვე კი თვეობით სავსეა. ხილის ნაფლეთების და ჭუჭყის მუდმივი სტუმარი მწერები ხომ ერთად ერთი საშუალებაა ხოლერისა და სხვადასხვა სენის გასავრცელებლად.

აი მეორე უყურადღებობაც: რკინის გზის საავადმყოფოს წინა ქუჩა იგვება დილის 6—7 საათზე. მაშინ, როცა საავადმყოფო ნიმუში უნდა იყოს ხალხისთვის სისუფთავის დაცვაში, ჩვენ წინააღმდეგს ვხედავთ. ასეა ქალაქის სხვა უბნებშიც. დღით ქუჩას ამტვერება, როცა ხალხი მოძრაობს, როცა მუშები სამსახურისკენ მიეშურებიან—სადაური წესია. არც ამ უწესოებას ექცევა ყურადღება...

საჭიროა სასტიკი ზომების მიღება, სანამ გვიან არ არის თორემ საშინელი ხოლერის შედეგი...

ვენედიქტე ჯორბენაძე.

## ს. დ.-პარტიაში

**ნავთლუღი.** 12 აგვისტოს შესდგა მე-7-დე რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი კრება ამხ. გვიმბრაძის თავმჯდომარეობით.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ლორიამ, რომელმაც გამოიწვია შეკითხვები და მსჯელობა. გამოტანილ იქნა შესაფერი დადგენილებები.

კოლექტივის წევრი, რომელიც სამჯერ ზედი-ზედ უმიზეზოდ დააკლდება კრებას, გამორიცხული იქნება, ჩვეულებრივი კრებები ხდება ხუთშაბათობით, ვინც 4 საათზედ არ მოვა, უნდა წარმოადგინოს გასამართლებელი საბუთი.

ამხ, ხერხეულიძის განცხადების შესახებ, რომელიც შტაბს შეეხებოდა დადგენილი იქნა: „ამხ. ხერხეულიძემ აუცილებლათ განაგრძოს მუშაობა.

ამხ. ვასაძის განცხადების გამო კოლექტივი ირჩევს ამხ. სარჯველაძეს და ამხ. ხერხეულიძეს, სადაც ჯერ არს მოსალაპარაკებლათ.

კოლექტივი ადასტურებს პრეზიდიუმის დადგენილებას, რომ ვინც გასული თვეების გადასახადი არ შემოიტანა და 15 დღის განმავლობაში არ შემოიტანს, დაევალოს მდივანს მათი სახელი და გვარი გამოაქვეყნოს პრესაში.

პ. ლეხელი.

—

**მანგლისი.** 1 აგვისტოს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მთელი რაიონის ყრილობა დაესწრო ასი დელეგატი, დაახლოვებით ერთი მესამედი მთელი წევრებისა. სხდომა გახსნა ადგილობრივი რაიონული კოლექტივის სახელით ამხ. ი. ფავლენიშვილმა. ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ცეკას წარმომადგენელი ამხ. ლ. კაკაბაძე.

ყრილობა შეუდგა ადგილებიდან მოხსენების მოსმენას.

მჟავისის ორგანიზაცია (მთიული) ამ. ა. მიგრიაული. რევოლიუციის პირველ დღიდანვე ამხ. ლ. კაკაბაძესთან ერთად შევადგინე წრე ჩვენ საზოგადოებაში და რაზმიც: იმ დღიდგან დღევანდლამდე მუშაობა წესიერათ სწარმოებს.

იყო შემთხვევები, როდესაც მოვიდნენ ბოლშევიკები და მოუწოდებდნენ გლეხებს, მთავრობის საწინააღმდეგოთ, მაგრამ ადგილობრივი ძალებითვე უმკლავდებოდით და უარყოფითი პასუხით იგერიებდნენ. პარტიაში გვყავს 50 წევრი. მამულები ჩამოართვა სამამულო კომისიამ მემამულეთ. და ეხლა შევუდექით განაწილებას. საფასურს იხდიან.

ახალ-სოფლის ორგანიზაცია ა. ჩოქური (მთიული) როდესაც გვარდია დაარსდა მანგლისის რაიონში, პირველად ჩვენი პარტიული ამხანაგები ჩაეწერენ. ახლა გვარდიაში თითქმის მთელი საზოგადოება არის ჩაწერილი. მოხუცებულებიც კი ეწერებიან. ჩვენს საზოგადოებას ანარქიულ გამოსვლებში, როდესაც ჰქონდა ადგილი ამ ორი წლის წინეთ, მონაწილეობა არ მიუღია. პარტიაში წევრები სამოცდა ათამდეა. მამულები უკვე გავანაწილეთ. საფასურიც გადავიხადეთ. ჩვენ მთიულები მეცხვარეები ვართ და თუ მთა ბედემი არ დაგვიმტკიცა მთავრობამ, ჩვენი ცხოვრება ისე შეუძლებელია დროებით სამაზრო ერობამ გადმოგვცა, მაგრამ ჩვენ მთა ბედემი გვინდა. სამუდამოდ იმ მთაზე გვედავებიან აღბულახელი რუსები, რომლებსაც არ სჭირდება, რადგან მეჯოგეობას არ ეწევიან.

დიდი თონეთიდგან მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. კაკაბაძე თონეთის ცხოვრებიდან. მომხსენებელი აღნიშნავს სამ მომენტს, პირველი როდესაც თონეთში არ იყო ჯერ კიდევ მობალშევიკე ჯარის კაცები ჩამოსული. შემდეგ როდესაც ჯარის კაცებმა დაარბიეს არამც თუ თონეთი, არამედ მთელი რაიონი და უკანასკნელად კი, გამოფხიზლების ხანა, როდესაც ახლად შესდგა ორგანიზაცია და სახალხო გვარდია ის აღნიშნავს, რომ თონეთლებმა შემდეგ თავი ისახელეს. არა ერთხელ წასულან თონეთლები ფრონტზედ თავისუფლების და სამშობლოს დასაცავად.

თონეთის ორგანიზაციაში 60 კაცამდე შედის.

ამ ბოლოს დროს იყო რაღაც ჯგუფი მობალშევიკო, მაგრამ თითონვე სთქვეს მთვრალები როდესაც ვიყავით სამიკიტნოში, მაშინ ჩაგვწერეს ბალშევიკების ორგანიზაციაშიო და როდესაც გაფხიზლებულებმა გავიგეთ ამოვეწერეთო. მეორე ჯგუფი მჭედლიძეების მეთაურობით დაიშალა.

—

**ლგვის ორგანიზაცია.** გ. აფციაური (მთიული). არის მოწყობილი ორგანიზაცია, რომელშიც შედის სამოცდა ხუთ წევრამდე. ერთი ჩამოვლა ჩამოიარეს ბალშევიკებმა, ხალხს ეუბნებოდნენ ეს მთავრობა თავად-აზნაურობის არის, მამულში ფულ გახდევინებენ, სიძვირეა და სხვა ამიტომ ჩაეწერეთ ჩვენს პარტიაშიო. გვარდიელებს ეუბნებოდნენ: ჩაეწერეთ გვარდიაში, შეიძინეთ თოფები და მთავრობის წინააღმდეგ, რომ მოგიწოდოთ გამოდითო. ჩვენ მაშინვე შევატყობინეთ მანგლისის კოლექტივს, რომელმაც გამოგზავნა პროპაგანდისტი საწინააღმდეგოთ, მაგრამ ბალშევიკები გაიპარნენ.

მამულების საქმეები ვერ არის როგორც სხვა საზოგადოებებში მოწესრიგებული. საფასურს სიამოვნებით ვიხდით.

**შტაბის რაიონიდან.** შტაბის რაიონიდან მოხსენებას აკეთებენ ამხ. დ. შარაშენიძე და ი. ფავლენიშვილი. მათი თქმით პარტიული მუშაობა შესაფერ სიმაღლეზე დგას. ორ კვირაში ერთხელ ხდება კრებები. საწევრო გადასახადი შემოდის. სწარმოებს რეგისტრაცია.

როდესაც დასრულდა მოხსენებები ადგილებიდან გვესტუმრა საგარეო საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ნ. ქარცივაძე. ყრილობა ოვაციებით შეხვდა მას ამხ. კაკაბაძე ყრილობის სახელით მიესალმა. ამხ. ქარცივაძემ კრებას გააცნო მთავრობის მუშაობა როგორც შინაური ისე საგარეო. ყრილობა კმაყოფილი დარჩა მისი მოხსენებით.

შემდეგ ამისა საქართველოს ს. დ. კონფერენციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. კაკაბაძემ.

ყრილობამ სავსებით გაიზიარა ყრილობის რეზოლიუციები.

ყრილობამ მოისმინა მოხსენება სამაზრო კომიტეტის საქმიანობის შესახებ და გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია. ყრილობამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები მთავრობის თავმჯდომარეს, ცენტრალურ კომიტეტს, სამაზრო კომიტეტს.

შემდეგ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნენ რაიონულ კოლექტივში 11 წევრი: 1) ი. ფავლენიშვილი, 2) ლ. შავშიშვილი, 3) ტ. ბარნაბიშვილი, 4) დ. ლონდარიძე, 5) ა. ჩოქური, 6) ა. მიგრიაული, 7) ნ. გულვერდოვი, 8) თ ძღლური, 9) დ. შარაშენიძე, 10) ი. არონიშიძე, 11) გ. ივანოვი. პრეზიდიუმში: თავმჯდომარეთ 1) ი. ფავლენიშვილი, 2) ამხ. ტ. ბარნაბიშვილი, 3) მდივნ. ი. არონიშიძე.

ყრილობის მდივანი ტ. ბარნაბიშვილი.

## მუშათა შორის

**ჭიათურა.** საჩხერის ახლოს, დაბურულს ტყეში, სადაც რკინის გზის საქართველოს გზის სამართველოს აღებული აქვს ტყე საექსპლოატაციოთ და რკინის გზის ლიანდაგიც გაყავს ამ ტყეში, რომ უფრო ადვილი იყოს დამზადებული მასალის გამოტანა, მუშაობს ოთხასი მუშა. ამ მუშების ბედ-იღბალი რკინის გზის წარმომადგენელს წერილი ექსპლოატატორების ხელში ჩაუგდია, რომლებიც არა თუ რესპუბლიკის შრომის კანონებს იცავდნენ, არამედ—მუშები განიცდიდნენ მონურ ხანას.

შრომის სამინისტროს რწმუნებულმა მიხეილ ჯაჯანიძემ შემთხვევით გაიგო ეს და წავიდა საქმის გამოსარკვევათ; მაშინვე მიიღო მან ზომები და დღეს ეს მუშები ისეთსავე პირობებში იმყოფებიან, როგორც საქართველოს სხვა მუშა-მოსამსახურეები შრომის. რწმუნებულმა იქ შექმნა მუშათა კავშირი რომელსაც დაარქვეს „საჩხერის რკინის გზის [illegible]

## პროვინცია

[illegible]

*) იხ. „ერთ." № 190.

[illegible]

...ნაცხადეს, რომ მათ ქაზუკიანის თემთან არაფერი სადაო აქვთ და ამიტომ კომისიაში არ შედიან.

ვლ. ჭუმბურიძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.


## განცხადებანი

ექიმი
**პ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, (სოლოლაკი)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ვეთილი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმის
**ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

**ბორჯომში**
ექიმი
**ბესარიონი პაპოვი**
თბილისიდან.
იღებს ყელის, ყურის და ცხვირის ავადმ. მისამართი გაიგება პარკში. (2554—10—8)

**15.000 მან.**
იყიდება 9 პარტა, მაგიდა, დაფა, ლინოლეუმი და ტანისამოსის ჩამოსაკიდი. პლეხანოვის ქ. 25 მაჩაიძის ბინ. (შესავალი ალექსის ქ. № 5) 9—11 ს. (2733—2—1)

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმმა
**ნიკოლოზ მახვილაძემ**
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

თ ბ უ რ გ ე თ შ ი
ექიმი
**ს. ვ. აბაშიძე**
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით, (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". კ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სა[illegible] სახლ ს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 5ან. 6 ნახ. საათამდე. (2722-ᲗᲛ.)

დ ო ქ ტ ო რ ი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი **ივ. გოკიელი**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საშარდე [illegible] შერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი
**ე. ი. კალანდაძე**
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი
[illegible] **ჩოლოყაშვილი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—58. (1742—თ.)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლოს. (2383—თ.)

ექიმი
[illegible] **ჩოლოყაშვილი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს. საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი წამლები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 33. (1288 25—4)

**თავრიზის რკინის გზის**
მუშა-მოსამსახურეების რწმუნებულთა წარმომადგენლების **საბჭო** სთხოვს მოსამსახურე-კრედიტორებს აცნობონ თავიანთი მისამართი და მათზე მიწერილი თავრიზის რკინის გზის ვალის რაოდენობა. მისამართი: ავჭალის შესახვევი № 9, ვ. ი, გოლოვნია. (2729 1—1)

**თფილისის კომერციული სასწავლებელი**
მიიღება თხოვნები გაეროვნებულ-ქართულ მე-5 კლასში შესასვლელად. მისაღებად საჭიროა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში კურსის დამთავრების მოწმობა ანუ საშუალო სასწავლებლის ოთხი კლასის გავლისა. იმ პირთ, რომელთაც არ მოეპოვებათ ასეთი მოწმობა, დაენიშნებათ გამოცდა, თუ თავისუფალი ვაკანსია აღმოჩნდა. თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველ დღე სასწავლებლის კანცელარიაში, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. გამოცდები დაიწყება 8 სექტემბერს დილის 9 საათიდან. (2720 2—1)

**გამოვიდა**
ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
**„სოფლის მუშა"**
ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა
**გაზეთი გამოვა ორშაბათობით**
მასალები უნდა გამოიგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის" სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშასათვის".
სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ვლ. ლომთათიძე, ივ. გომართელი, ხტ. ელიავა